განათლების მუშაკი

23

№6

გამოცემა საქართველოს განათლების მუშაკთა პავშირისა
ტფილისი
1927

№6 №6



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

განათლების ფრონტი

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის ორგანო

პროფესიონ. პედაგოგიური ორგანო.
რედაქციის მისამართი: ფშრცელაქის ქუჩა №3.
განათლების მუშაკთა ცენტრალური სახლი

№ 6 დეკემბრის 15 № 6

Государственная академическая Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили Академия наук

5209

ვ. დემურია

ომის საშიშროება და განათ. მუშაკთა მოვალეობა

საჭიროა განათლების ფრონტზე მომუშავეებმა, მასიურმა მასწავლებლობამ, ქოხ-სამკითხველოს ხელმძღვანელმა, სოფელში მომუშავე ინტელიგენციამ დაისახოს გარკვეული მიზანი თავდაცვისათვის ხელის შესაწყობად. გარდა იმისა, რომ ჩვენ ხელი უნდა შეუწყოთ ხელისუფლებას და მის მიერ თავდაცვისათვის მიღებულ ზომებს, საჭიროა განათლების ფრონტზე მომუშავემ **მობილიზაცია გაუკეთოს თავის ცოდნას, ენერგიას, გამოცდილებას** და თავის წვლილი შეიტანოს თავდაცვის საქმეში. მთავარი ყურადღება ასეთი მუშაობის დროს უნდა მიექცეს იმას, რომ მომავალ შეტაკების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიეკუთნება მარტო ფრონტს, როგორც ეს ხდებოდა წარსულ ომიანობის დროს. დიდი და უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება **მოსახლეობის განწყობილებას ომისადმი, მნიშვნელოვანი იქნება ზურგის დამოკიდებულება, შეხედულება ომზე.** ამიტომ განათლების ფრონტზე მომუშავემ უპირველეს ყოვლისა უნდა მიიღოს თავის თავზე ამ მიმართულებით მუშაობა: **მოსახლეობას შეაგნებიოს, რომ მომავალი ომი გადამწყვეტი იქნება ორ ეკონომიურ-პოლიტიკურ სისტემის შორის: სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტ. შორის.** ვის რას მისცემს ერთის ან მეორის გამარჯვება, ნათელი უნდა იყოს ყველასათვის. სოფლის მოსახლეობამ—დიდმა და პატარამ უნდა შეიგნოს, რომ **საბჭოთა კავშირის დამარცხება** (სოციალისტური სისტემის) **ნიშნავს ისტორიის ჩარხის იძულებით უკან მოტრიალებას** ხუხში ძალის მიერ; ეს იქნება კაცობრიობის წინსვლის შეჩერება, რეგრესი. ამ დამარცხებას მოყვება შავი რეაქცია მთე-

ლი მისი საშინელი ატრიბუტებით. ეს უნდა შეიგნოს **ახალგაზრდობამ**, რომელიც უშუალო მონაწილეობას მიიღებს ომის წარმოებაში და იბრძოლებს აქტიურად. უნდა შეიგნოს **ხანში შესულმა**, რომელიც მზად იქნება გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი თავდაცვის საქმისათვის, ხელს შეუწყობს ზურგს წესიერების დაცვაში, ალაგმავს ყოველ სახის ავანტიურისტს, რომელიც შეეცდება დეზორგანიზაცია შეიტანოს მოსახლეობაში და ამით შეასუსტოს ფრონტის უნარიანობა.

თუ მოსახლეობაში მუშაობა იწარმოებს სწორად და სისტემატიურად, შედეგებიც იქნება შესაფერისი: **მოხდება მოსახლეობის ფსიქოლოგიური მობილიზაცია და მომზადება პროლეტარული რევოლუციის სასარგებლოდ.** ეს კი გადამწყვეტი იქნება ომიანობის დროს.

სწორი ხაზი ამ მიმართულებით მუშაობაში უნდა გატარდეს აგრეთვე სოფლის გლეხ-ქალთა შორის, რაც სპეციალურად უნდა მიიღოს თავის თავზე განათლების ფრონტზე მომუშავეთა ერთმა ჯგუფმა: ქალმა მასწავლებელმა, რომელიც გააკეთებს ბევრ რასმე. მუდამ გლეხ-ქალებთან ყოფნა, ახსნა-განმარტების მიცემა, საკითხების გაშუქება გასაგებ ენაზე, შედარება ძველისა და ახალის (სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის), კერძოდ ქალთა საკითხის გაშუქება (ხელისუფლების პოლიტიკა)—ყველაფერი ეს მისცემს ქალ-მასწავლებელს საშუალებას, მოახდინოს გლეხ-ქალებში გონებრივი გარდატეხა; გლეხ-ქალებიც გახდებიან არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და სასარგებლონი პროლეტარული რევოლუციისათვის.

თუ ჩვენ შევძელით საზოგადოებრივი აზრის გარდატეხა პროლეტარული რევოლუციის სასარგებლოდ და შემდეგაც განვაგრძობთ მათ შორის მუშაობას, ამის შედეგად მივიღებთ სოფლის მოსახლეობისაგან დახმარების გაწევას ყოველგვარი საზოგადოებისათვის, რომელიც ემსახურება თავდაცვის და სოციალისტური მშენებლობის საქმეს. მოსახლეობა შეგნებულად მოეპყრობა იმ ზომებს, რომელსაც ხელისუფლება მიმართავს თავდაცვისათვის და სოც. მშენებლობისათვის; სოფლის მოსახლეობა შეგნებულად გახდება სხვადასხვა საზოგადოების წევრად, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მათ მუშაობაში და მრ. სხვა. ამ მიმართულებით ბევრი აქვს სამუშაო ყველა ტიპის და საფეხურების სკოლებს, რომელმაც უნდა მისცეს სოციალისტურ სახელმწიფოს მომზადებული ახალგაზრდობა. სკოლაში ხსენებული მიმართულებით მუშაობის წარმოება უფრო ადვილია, თუ მხედველობაში მივიღებთ პროგრამებს და შეგნებულ მასწავლებლობას. სკოლის პროგრამები (ყველა საფეხურის სკოლებში ჰასაკთან შეფარდებით) საამისო მასალით მდიდარია ყველა საგნებში, რომელიც კი ეხება საზოგადოებრივ ურთიერთობას. ადვილია შედარება აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკებში ძველსა და ახალ მდგომარეობას შორის. განსაკუთრებით ამ მიმართულებით უნდა იქნეს გამოყენებული გეოგრაფიის, ლიტერატურის, საზოგადოებათმეცნიერების გაკვეთი-


ლები. მათი შინაარსი ცხადყოფს, თუ რა უნდა კაპიტალისტურ ქვეყნებს თავისი იმპერიალისტური ზრახვებით. აქ გამოირკვევა არა მარტო განსხვავება ძველსა და ახალს შორის საბჭოთა ქვეყნებში, არამედ ნათლად იქნება გაშუქებული ის განსხვავება, რომელიც არსებობს საბჭოთა ქვეყნების მეურნეობასა და კაპიტალისტურ ქვეყნების მეურნეობას შორის: მაშინ, როდესაც საბჭოთა სოციალისტური ქვეყნები უარყოფენ კაპიტალისტურ წარმოებას ყველა მისი ატრიბუტებით, უარყოფენ და ანგრევენ ფეოდალურ ურთიერთობას: მიწა-გადაეცა გლეხობას, ფაბრიკა-ქარხნები მუშებს, მოისპო ექსპლოატაცია, მეურნეობა გადაყავს ელექტრონის ლიანდაგზე,—კაპიტალისტურ ქვეყნებში დარჩენილია ფეოდალიზმის ნაშთები, ქალაქის მრეწველობაში გაბატონებულია ექსპლოატაცია, სამეურნეო კრიზისები, რომელიც უკავშირდება ბაზრის საკითხს; უკანასკნელი კი იმპერიალიზმს და მილიტარიზმს; ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა, კოლონიების უსაზღვრო ექსპლოატაცია—9, 10, 11 საათის სამუშაო დღე, ქიშპობა ურთიერთ შორის—აი სურათი კაპიტალისტური ქვეყნების ცხოვრებისა. ეს შედარება იქნება გადამჭრელი ახალგაზრდობის გონებისათვის ისეთ მასალის მიწოდებით, რომელიც საფუძვლად დაედება მის მსოფლმხედველობას.

ყველაფერი ამის გაცნობა, გათვალისწინება, დაარწმუნებს ახალგაზრდას იმაში, თუ რამდენად საბჭოთა კავშირი ემსახურება კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს; დაარწმუნებს იმაში, რომ საბჭოთა კავშირი იბრძვის არა მარტო თავისთვის, არამედ კაცობრიობის წინსვლისათვის, მონობის და ყველფის მოსასპობად საზოგადოდ ყველგან. და ამ შემთხვევაში გასაგებიც იქნება ის, რომ საბჭოთა კავშირი ვერ წავა დათმობაზე ისეთ საკითხებში, რომელთა დათმობა მშრომელ მოსახლეობას უქადის ძველის დაბრუნებას. საბჭოთა კავშირი იბრძვის საკაცობრიო იდეალებისათვის, მას უნდა მოსპოს ექსპლოატაცია, ფეოდალური ნაშთები, ერთის მიერ მეორეს ჩაგვრა, უნდა გაანთავისუფლოს მთელი კაცობრიობა, დაამყაროს კომუნისტური საზოგადოება. ამ დიდი ჰიდილის დროს ორ სისტემათა შორის ახალგაზრდას ჩვენში უნდა ქონდეს გათვალისწინებული მისი მოვალეობა პროლეტარული რევოლუციის წინაშე; გარდა ამისა სკოლაში ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდობის გასამხედროებას. იქ, სადაც არის ფიზკულტურის გაკვეთილები, მას უნდა მიეცეს განხრა სამხედრო მიმართულებით. გასამხედროება ერთი უდიდესი ამოცანათაგანია სკოლაში, განსაკუთრებით საშუალო და უმაღლეს სკოლებში.

ეს უნდა გატარდეს ხსენებულ სკოლებში მთელი 100%-ით.

ცენტრ. გამგეობის მე-III პლენუმი

5/XI 27 წ. გაიხსნა საქ. განათ. მუშაკთა ც. გამგეობის მე-III პლენუმი, რომელმაც განიხილა მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხებისა.



უმუშევრობის საკითხი ჩვენს კავშირში.

ამხ. **ვ. პოლოსოვი**. უმუშევრობა თანდათან იზრდება ჩვენს კავშირში. თუ 1925 წელში გვყავდა 1602 უმუშევარი, ე. ი. 8,8%—1927 წელში უმუშევართა რიცხვი უდრის 2626 სულს (მთელს რესპუბლიკაში), ე. ი. კავშირის მთელ წევრთა რაოდენობის 13%-ს.

უკანასკნელ აღწერის თანახმად პროფესიის მიხედვით 40,2% უმუშევრებისა არიან მასწაკლებლები, მაშინ როდესაც წინად მათი რაოდენობა არ აღემატებოდა 20 25 პროც.-ს.

უმუშევართა ოჯახურ მდგომარეობის სურათი შემდეგნაირია:

ოჯახის პატრონნი	23,17%
ოჯახის წევრები	61,4%
ერთეულები	4,15%

ჰასაკის მიხედვით უმუშევართა ძირითად კადრს შეადგენს 25—30 წლის ხალხი.

უმუშევრობის მთავარი მიზეზებია შტატების შემცირება და დაწესებულებათა ლიკვიდაცია. შტატების შემცირების გამო უმუშევრად დარჩენილი კავშირის წევრთა რაოდენობა უდრის მთელ უმუშევართა რიცხვის 34,4 პროც.-ს ლიკვიდაციის გამო უმუშევართა რიცხვი უდრის 32 პროც.-ს, საერთო რაოდენობისა. დანარჩენები უმუშევრობენ სხვა მიზეზის გამო.

რა მდგომარეობაშია უმუშევართათვის დახმარების საქმე?

უმუშევრებს ეძლევათ ფულადი დახმარება, რომელიც კლებულობს უმუშევრობის ზრდასთან შედარებით. თუ 1925 წ. საშუალო თვიური დახმარება უდრიდა 7 მ. 15 კ., 1927 წ. ის უდრის 3 მ. 60 კაპ.

რა ზომებს უნდა მიმართოს კავშირმა უმუშევრობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად?

უნდა განხორციელდეს მე-VI ყრილობის დადგენილება, შესახებ $^1/_2$%-იანი ანარიცხების დაწესების. მართალია, ჩვენი კავშირის წევრია ბიუჯეტისათვის

სამძიმოა ეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ უმუშევარ ამხანაგების მდგომარეობას, არც ერთი შეგნებული მასწავლებელი არ დაიზარებს გაიღოს თავის წვლილი მათ დასახმარებლად.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ უმუშევრობის საკითხს აქვს დიდი მნიშვნელობა და ამიტომ უყოყმანოდ უნდა მივიღოთ დასახელებულ პროც.-ტულ ანარიცხის დაწესება.

ტფილისის უმუშევართა შორის, უმრავლესობას, ე. ი. 81,6 პროც.-ს შეადგენს მაზრებიდან ჩამოსული ამხანაგები. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. რაც შეეხება იმ აზრს, რომ თითქოს უმუშევრობა იზრდებოდეს სკოლების რიცხვის შემცირების გამო, ეს არ არის სწორი, რადგან სკოლების ნორმალური ზრდა სწარმოებს შეუფერხებლად.

ამის გარდა უნდა შეექმნათ უმუშევარ ამხანაგების ერთგვარი არტელები, შეეცადოთ ვუშოვოთ მათ კოლექტიური სამუშაო და აშრიგად შევუმსუბუქოთ მდგომარეობა. მატერიალურ ხასიათის დახმარების გარდა საჭიროა ზრუნვა მასწავლებლის კვალიფიკაციის ასაწევად. ამ მიზნით ჩვენ ვაწარმოებთ კულტ-მუშაობას უმუშევართა შორის. ამასთან ერთად საჭიროა, რომ უმუშევრები სარგებლობდენ შეღავათით გადასამზადებელ კურსებზე შესვლის დროს და ეძლეოდეთ საშუალება მაქსიმალურად გამოიყენონ განათ. მუშაკთა სახლი კულტურულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

რა ევალება უმუშევარ კავშირის წევრს? უპირველეს ყოვლისა მან ხელი უნდა შეუწყოს უმუშევართა სწორ რეგისტრაციას, რისთვისაც საჭიროა ბირჟაზე გამოცხადება და ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის დროს აღრიცხვიდან მოხსნა. ტფილისში 27 პროც. უმუშევრებისა არ არიან რეგისტრაციაში გატარებულნი. არის შემთხვევები, რომ უმუშევარი აღრიცხულია სამ ადგილას. ეს დაუშვებელია. ტფილისში გვყავს ჩვენ 1600-მდე უმუშევარი და აღწერის დროს გამოჩნდა 1067. გამოირკვა, რომ დანარჩენები ცხოვრობენ ტფილის გარედ და ცხადდებიან მხოლოდ რეგისტრაციაზე. ამ ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ განსაკუთრებული ენერგიით. უნდა ვებრძოლოთ აგრეთვე უარს პროვინციაში გამგზავრებაზე უმუშევართა მხრივ. სამჯერ გაფრთხილების შემდეგ ამგვარი წევრი გარიცხულ უნდა იქნას კავშირიდან.

უმუშევართა შორის გვყავს აგრეთვე ე. წ. „პროფკურდღლები". ეს ის ხალხია, რომელთაც კერძო სამუშაოდან აქვთ შემოსავალი, მაგრამ კავშირის სტატგანყოფილებაში ირიცხებიან, როგორც უმუშევარნი. ამხანაგებმა უნდა დავეხმარონ ამ დაუშვებელ საქციელის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კამათი

ამხ. **ჯიბლაძე** (გურია): უმუშევრობის მიზეზია ის, რომ პროგრამის ზრდა უსწრებს მასწავლებლის კვალიფიკაციის ზრდას. მომხრეა გაიხსნას კურსები, თუ გინდ ფასიანი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გავასაღებთ უმუშევრებს. შემოაქვს წინადადება, რომ უმუშევარს, რომელიც არ წავა სამუშაოზე, პირველად შეუმცირდეს დახმარება და მეორედ კი გარიცხულ იქნას კავშირიდან.

ამხ. **თათარიშვილი** (გორი): 92 უმუშევართა შორის კვალიფიკაციის მქონეა 21-22 კაცი. წმენდაში მოჰყვა 40 უმუშევარი—წინააღმდეგია უმუშევართა კრებების მოწვევის.



ამხ. თათარიშვილი.



ამხ. უგულავა.

ამხ. **უგულავა**: (ზუგდიდი). უმუშევართა ძირითად კადრს შეადგენს ლიკპუნქტების ყოფილი მასწავლებლები და ისინი, ვინც სცვლიან ავადმყოფ ამხანაგებს (დროებით მომუშავენი).

ამხ. **ჭეიშვილი**: (ტფილისი) უმუშევრობის შესანელებელად რადიკალური ზომაა—კურსების გახსნა. უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაში კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებით დიდ დახმარებას გაგვიწევს თვითგანვითარების წრეები.

ამხ. **გეგენავა**: (ტფილისი). უმუშევრობის მიზეზი არ მარხია პოლიტიკურ მომენტებში და სხვა. უმუშევრობას მოელის ზრდა, რადგან ჩვენ ვიმყოფებით სკოლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის წარმოებულ ბრძოლის პროცესში, რაც სკოლას ჩამოაცილებს არა შესაფერის მუშაკებს.

ამხ. **გეგენავა**: (სენაკი). უმუშევრობის მთავარი მიზეზია ის, რომ კავშირის წევრის შეუფერებლობის გამო სამუშაოზე იგზავნება არა კავშირის წევრი და ამას უნდა ვებრძოლოთ.

ამხ. **ხუნდაძე**: (ტფილისი). უმუშევრობას ზრდის ის, რომ კავშირში ბლომად მოიპოება შემთხვევითი ელემენტები. შერჩეულ იქნას უმუშევართა შორის კადრი ამხანაგების, (მიუხედავათ მათი კვალიფიკაციის), რომელთაც მიზნად დაუსახავთ პედაგოგიკისათვის მსახურება და ვაწარმოოთ მათთან სერიოზული მუშაობა, რათა შექმნილ იქნას რეზერვი კარგად მომზადებულ მასწავლებლებისა. საჭიროა მოისპოს ის მდგომარეობა, რომ ადმინისტრაცია მასწავლებლის დანიშვნის დროს გვერდს უვლის კავშირს.

ამხ. **ძიძიგური**: (ტფილისი). უმუშევრად რჩება დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებელი. უმუშევრობის შენელების მიზნით მომხრეა არტელების შექმნის. წინააღმდეგია უმუშევართა მაზრაში გადასროლის მისი მდგომარეობის გამოურკვევლად.



ამხ. ძიძიგური.



ამხ. პანიციდი.

ამხ. **პანიციდი**: (ბორჩალოს მაზ.). მთავარი მიზეზი მასწავლებლის მხრივ მაზრაში წასვლაზე უარის თქმისა არის ბინის და სხვა ამგვარ საკითხების მოუწესრიგებლობა ადგილობრივ. ხშირად ქალაქიდან ჩამოსული პედაგოგი რჩება ქუჩაზე, რადგან გლეხი ქირითაც არ უთმობს ოთახს და ამის მომსმენი სხვა ამხანაგებიც აღარ სთანხმდებიან სოფელში წასვლაზე. მასწავლებელი არ მიდის მაზრაში აგრეთვე იმის გამო, რომ ეშინია არ ჩამორჩეს კულტურულად.

რაც შეეხება $^1/_2$ პროც.—ანარიცხებს, ამხანაგების დიდ ნაწილს ის მიაჩნია მისაღებად და ცხოვრებაშიც ადვილად გასატარებლად, ხოლო უმნიშვნელო ნაწილი კი არ გამოსთქვამს თანხმობას, რადგან ეს ანარიცხი მეტად დაამძიმებს მასწავლებელის ისედაც სუსტ ბიუჯეტსო.

ძირითად უჯრედების კულტმუშაობა.

ამხ. **ნ. ჭეიშვილი**. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ინტერესები მოითხოვს ჩვენი მასების კულტურულად ამაღლებას. ეს ეხება არა მხოლოდ ქალაქს, არამედ სოფელსაც. სოფლის კულტურული ძალა არის მასწავლებელი და, რომ



მისი მუშაობა ნაყოფიერი იყოს, საჭიროა მასწავლებლის პოლიტიკური და პროფესიონალური გადამზადება. ამ მუშაობას ვაწარმოებთ, მაგრამ გვაქვს ნაკლი, რადგან ადკომები ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას კულტმუშაობას.

1927 წლისათვის 227 ადკომიდან კულტკომისიები ჰყავს 182-ს და ესენიც თითქმის არაფერს აკეთებენ. როგორ შეიძლება დეფექტების გამოსწორება? ამისათვის საჭიროა, რომ:

1) ადგილკომებმა უხელმძღვანელონ კულტკომისიების გეგმის და ხართჯაღრიცხვის შედგენას. კულტკომისიებში ჩაბმულ იქნან მცოდნე ამხანაგები და ყველა წევრებს შორის განაწილდეს მუშაობა;

2) საჭირო ფინანსიურ ბაზის შექმნის მიზნით, უნდა დავადგინოთ გადაიდოს ორგფონდიდან კულტფონდში 15%..

3) გავაძლიეროთ თვითგანვითარებითი მუშაობა, ამ მიზნით დაარსებულია თვითგანვითარების დამხმარე ცენტრ. კომისია, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას მთელ მუშაობას. შედგენილ და დაგზავნილ იქნება ახლო მომავალში პროგრამები;

4) განსაკუთრებულ ყურადღებით მოეპყრათ ჟურნალს, როგორც მთავარ საშუალებას კულტმუშაობის წარმოშვებაში. ამასთან ერთად უნდა გავამრავლოთ განათლების კუთხეები, რადგან ეს უკანასკნელი არის კულტმუშაობის ცენტრი;


მასწავლებელი სოფლად ასრულებს მთელ რიგ საზოგადოებრივ ხასიათის მოვალეობებს.

ვინაიდან ჩვენ ვიმყოფებით ომის საშიშროების წინაშე, ამიტომ კულტკომისიებს ევალებათ ხელი შეუწყონ მოსახლეობის გასამხედროებას, სამხედრო კუთხეების მოწყობით და სხვა ამ გვარ საშუალებათა დახმარებით. გარდა ამისა ჩვენ გვმართებს მუშაობის გაწევა წითელ არმიელთა შორის. ამ მხრივ ცოტა რამ მიუძღვის მხოლოდ ტფილისს. ცენტრალურმა გამგეობამ უკვე შეიმუშავა დებულება, სადაც აღნიშნულია, რომ წითელ ჯარში მუშაობა ევალება ადკომებს. ეს მუშაობა უკვე დაწყებულია, ვაწყობთ არმიაში მოხსენებებს, ვაწვდით ლიტერატურას და სხვა. წითელარმიელები კი ეხმარებიან ადკომებს სამხედრო კუთხეების მოწყობაში. ასე მიმდინარეობს განათლების მუშაკის და წითელ არმიელის ურთიერთ დახმარების საქმე. გასამხედროებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები უკვე დაეგზავნა მაზრებს.

კამათი

ფარმანიანი. (ახალ-ქალაქი) ც. გ. კულტგანყოფილება ვერ ხელმძღვანელობდა მაზრის კულტმუშაობას. არ გვეგზავნებოდა დირექტივები და ინსტრუქციე-

ბი ახალგაზრდათა შორის და საერთოდ სოფლად მუშაობის შესახებ. წინააღმდეგია ჟურნალზე ხელის მოწერის, რადგან მასწავლებელი ისედაც ბევრ გაზეთ-ჟურნალებს იწერსო.(?)



ამხ. ფარმანიანი.



ამხ. კაჭარავა.

ამხ. **კაჭარავა**. (დუშეთი) პროფხაზით კულტმუშაობა მოისუსტებს და ამის მიზეზია პროფაქტივის სიმცირე. შემოაქვს წინადადება, რომ ტფილისმა მისცეს მაზრებს სანიმუშოდ თავის პრაქტიკული მიღწევები კულტმუშაობის დარგში.

წინააღმდეგია კულტფონდის დეცენტრალიზაციის; საჭიროა, რომ თანხები რჩებოდეს მაზრებში.

ამხ. **პოლოსოვი** კულტფონდის დეცენტრალიზაციის გატარება აუცილებელია, მაგრამ საჭიროა თანხა იცემოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურად შეუდგებიან რაიმე საქმეს (მაგ. კედლის გაზეთის გამოშვებას და სხვ.)

ამხ. **ჯიბლაძე** (გურია). შეუძლებლად მიმაჩნია კულტმუშაობის წარმოება ადკომებთან, თანხის სიმცირის გამო და საეჭვოა წრეების ნაყოფიერი მუშაობა.

ახალციხის წარმომადგენელი ხაზს უსვამს იმ მდგომარეობას, რომ მათთან კულტმუშაობა სწარმოებს მცირე ადგილკომებშიაც. ამხანაგი მოახსენებს პლენუმს, რომ მათი პროფწრეები ნაყოფიერად მუშაობენ.

ამხ. **ხუნდაძე** (ტფილისი). სახალხო მასწავლებელი დღეს უფრო ჩინოვნიკია და არა საზოგადო მოღვაწე. აიხსნება იმით, რომ მასწავლებელი ორგანიულად არ არის დაკავშირებული სოფელთან. ამიტომ, ამბობს ორატორი, საჭიროა ხელი შეუწყოთ სოფელთან მჭიდროდ დაკავშირებულ მასწავლებელთა კადრის შექმნას.

ამხ. **დელავერი** (აფხაზეთი). გადიდებულ იქნას %-ტი ფიზკულტურისა და სამხედრო კუთხისათვის გადადებულ თანხისა. საჭირო ც. გ. დახმარება თვით-

განვითარების და სხვა კულტურულ ხასიათის საქმეში, უნდა იგზავნებოდეს დროულად ყოველგვარი პროგრამები, განმარტებანი დირექტივები და სხვ.

განათლების მუშაკის უფლებრივი მდგომარეობა

მომხსენებელი ამხ. **შ. გეგენავა**. განათლების მუშაკთა უფლებრივი მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება.



მაგრამ დღემდე მაინც აქვს ადგილი ჩვენი კავშირის წევრთა უფლებრივ შევიწროებას.

მაგალითად: სასკოლო ქსელის უდროო რეორგანიზაცია იწვევს მასწავლებელთა შემცირებას სასწავლო წლის განმავლობაში.

არის ისეთი შემთხვევები, რომ მასწავლებელს ხსნიან სრულიად უმიზეზოდ.

ზოგჯერ მასწავლებელს ხსნიან ადგილიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ეძლევა მასწავლებლის პენსია.

უსაბუთოდ მოხსნილი მუშაკის ისევ თავის ადგილზე აღდგენის შემდეგ დაწესებულება იხთის გაცდენილი დროის ხელფასს 500-600 და ზოგჯერ 1000 მანეთს, რაც არ არის მიზანშეწონილი.

უმთავრესი ისაა, რომ კავშირის ორგანოები ვერ იჩენენ საკმაო და საჭირო ენერგიას განათლების მუშაკების უფლებათა დაცვაში.

არის შემთხვევები, როცა კავშირის ორგანოები რაიმე საკითხის გამოსარკვევად თუ დახმარებისათვის მოსულ ამხანაგს თავიდან იშორებს ფორმალური პასუხით. ასეთსავე პასუხს იძლევიან ცენტრ. გამგეობის მიმართვაზე.

კავშირის ყველა ორგანოების გამახვილებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ უარყოფით მოვლენებს, რომ უახლოეს დროში სრულიად, მთელი 100 პროც. მოვსპოთ ისინი.

კ ა მ ა თ ი

ამხ. **პანიციდი**: გატარებულ იქნას ცხოვრებაში ცირკულიარი, სადაც ნათქვამია, რომ მასწავლებელი რჩებოდეს ერთ ადგილზე არა ნაკლებ 5 წლისა. ბრძოლა გამოეცხადოს წლის შუა თვეებში მასწავლებლების გადაჯგუფებას. პროფორგანოები ვერ იცავენ კავშირის წევრის უფლებას, რადგან პროფმუშაკები დაშინებულნი არიან ადმინისტრაციის მიერ.

ამხ. **დელავერი**: ე. წ. საზოგადოებრივ სკოლების მასწავლებლები ვერ ღებულებენ ხელფასს ორი წლის განმავლობაში. არის შემთხვევა მასწავლებელ ქალის გადაყვანისა სხვა ადგილზე, როდესაც ის არ დანებდა განათლების გან-ბის გამგეს.



ამხ. მეგრაბიანი.



ამხ. დელავერი.

ამხ. **მეგრაბიანი**: (ტფილისი). მასწავლებლის უფლებრივ მდგომარეობის დაცვის სისუსტის მიზეზია შ. ს. კომისიის მუშაობის დეფექტები. შ. ს. კომისია ში მოი სუსტებს არა მუშური ნაწილი, არამედ ადმინისტრატიული, რადგან განათლების გან—ბის წარმომადგენლები ყოველთვინ ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე.

ამხ. **ხუცაიძე**: (თელავი). მასწავლებლის უფლებრივ მდგომარეობის დაცვის საქმე კარგად წავა, თუ განათლების კომისარიატიც შეებრძოლება ყოველგვარ ანორმალობას ამ დარგში და აქტიურად დაიცავს პედაგოგის უფლებებს.

ამხ. **ჰეიშვილი**: უფლების შელახვის საკითხს აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა.როგორ დავიცოთ მასწავლებლის უფლებები? ამისათვის საჭიროა:

1) მოვამზადოთ და გადავამზადოთ შ. ს. კომისიის მუშაკები.

2) ამხანაგებმა მოგვაწოდონ კორესპონდენციები ჟურნალში, დაკავშირებით ამ საკითხთან და

3) ცენტრ. გამგეობამ ენერგიულად დაუჭიროს მხარი და გაუმაგროს ზურგი ადგილობრივ პროფმუშაკებს მასწავლებლის უფლების დაცვაში.

ჯიბლაძე: მასწავლებლის უფლების შელახვას კავშირი აქვს დაწესებულებაში წარმოებულ ინტრიგებთან. საკონტროლო კომისიამ უნდა ჩაერიოს ამ გვარ საქმეებში, რადგან ის მძიმედ აწვება ბიუჯეტს. მიზეზი ადკომების სისუსტისა

კავშირის წევრთა უფლების დაცვაში ის არის, რომ ადკომის თავ—რე მასწავლებელი პროფხაზით იღებს 3 მანეთს და სასწავლებლიდან კი 35 მან. და ამის გამო ცდილობს გვერდი აუხვიოს ადმინისტრაციასთან კონფლიქტს.



ამხ. ჯიბლაძე.



ამხ. გეგენავა (სენაკი).

გეგენავა (სენაკი): არის შემთხვევები, როდესაც თემის საბჭოს თავ-რე აყვედრის მასწავლებლის ხელფასს იმ მოტივით, რომ თუმცა ის (თემის აღმასკომის თავ-რე) მეტს მუშაობს, მაგრამ მასწავლებელზე ნაკლებს იღებს. არის შემთხვევები, როდესაც თემის აღ-მის თავ-რე შედის სასწავლებელში და კონტროლს უწევს მასწავლებლის პედაგოგიურ საქმიანობას. ამ გვარი საქციელი დიდად ვნებს მასწავლებლის პრესტიჟს და ამიტომ უნდა ვებრძოლოთ სასტიკად.



დელეგატი, რომელიც მჭერმეტყველურად სდუმდა.

პ. ჯანიშვილი

გავაუმჯობესოთ ჟურნალი საერთო ძალებით

ჩვენი ჟურნალის მიზანი და საერთო ხასიათი თითქმის ყველას ერთნაირად გვაქვს წარმოდგენილი. წარმოდგენილითქო ვამბობ იმიტომ, რომ ჟურნალი ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია. ჩვეულებრივად ეს პროცესი წლების განმავლობაში ხდება, რადგან მკითხველების შეძენა, მათი ინტერესების გაგება-დაკმაყოფილება და საჭირო თანამშრომელთა ძირითადი კადრის შემოკრება ჟურნალის ირგვლივ დიდ დროს მოითხოვს. მართალია „განათლების მუშაკის“ მიზანი და შინაარსი გარკვეულია, მაგრამ ამას შემსრულებელი უნდა. სწორედ ამ შემსრულებელთა, ე. ი. თანამშრომელთა გამონახვა-შერჩევას და მიზიდვას უნდა საკმაო დრო და მკითხველების დახმარება.

უკვე მე-ს ნომერი გამოდის ჩვენი ჟურნალისა და შეიძლება ლაპარაკი მის ავ-კარგიანობაზე. კიდევაც გვესმის ასეთები. ზოგს მოსწონს ჟურნალი, ზოგიც ნაკლს აღნიშნავს. რედაქცია ფხიზლად ადევნებს თვალყურს მკითხველების აზრს და სთხოვს ყველას, მიგვითითონ ნაკლზე, გვაცნობონ თავიანთი აზრი. რასაკვირველია არავითარი ფასი არა აქვს იმ ორიოდე ადგილკომის წარმომადგენელთა აზრს, რომლებმაც ხელისმოწერის კამპანია არ ჩაატარეს და თავის უმოქმედობის დასაფარავად განაცხადეს: ჟურნალი არ მოსწონთო. ჟურნალის მოწონება-დაწუნება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც სისტემატიურად კითხულობს მას. ამიტომაც რედაქცია დიდი ყურადღებით ეკიდება იმ ამხანაგების აზრს, რომელნიც ჟურნალს იწერენ და კითხულობენ.

უეჭველია ჟურნალის ყოველი ახალი ნომერი იწვევს მკითხველის შეფასებას. მაგრამ რედაქციამდი ეს იშვიათად აღწევს. ჟურნალის ყოველმხრივი გაუმჯობესების დაჩქარებისათვის კი აუცილებელია ჩვენი მკითხველების აზრი. რასაკვირველია, ჩვენთვის საჭიროა და სასარგებლო ერთეული მკითხველის აზრიც, მაგრამ უფრო სასურველია და გაცილებით მეტ შედეგს მოიტანს, თუ ამ საქმეს მიეცემა მოწესრიგებული სახე. ეს შესაძლებელია **„ჟურნალის მეგობართა წრეების“** დაარსებით. ასეთი წრეების მიზანი იქნება ხელი შეუწყოს „განათლების მუშაკის“ ყოველმხრივ გაუმჯობესებას და გავრცელებას. „ჟურნალის მეგობართა წრე“ უნდა დაარსდეს ყველგან, სადაც კი შესაძლებელია თუ გინდ სამი მკითხველის ერთად შეხვედრა ხშირად: ადგილკომებთან, თვითგანვითარების წრეებთან, სასწავლებლებში და სხვ. ყოველი ნომრის მიღების და წაკითხვის შემდეგ წრის წევრები შეიკრიბებიან სულ რამოდენიმე წამით, გაუზიარებენ ერთმანეთს თავიანთ აზრს წაკითხული წერილების შესახებ, აღნიშნავენ ჟურნალის დადებითს და უარყოფით მხარეებს და აცნობებენ ამას რედაქციას. ყოველივე ეს მოითხოვს ამხანაგებისაგან უმნიშვნელო დროს და ჟურნალს კი დაუფასე-

ბელ სარგებლობას მოუტანს. ამავე დროს ხელს შეუწყობს წაკითხულის ყოველმხრივ გაგება-შეთვისებას და გამოიწვევს ჟურნალში თანამშრომლობის სურვილს. გარდა ამისა წრის წევრები ეცდებიან დააინტერესონ და ურჩიონ ჟურნალის გამოწერა იმ ამხანაგებ, რომელთაც ჯერ არ გამოუწერიათ. ყოველი მკითხველი დაინტერესებულია ჟურნალის გავრცელებაში, ვინაიდან რაც მეტი გავრცელდება ჟურნალი, მით უფრო მეტი შემოსავალი ექნება რედაქციას, რაც უკლებლივ მოხმარდება ჟურნალის შინაარსის და ვარეგნობის გაუმჯობესებას.

მაშ დააარსეთ, ამხანაგებო, „ჟურნალის მეგობართა წრეები“ და საერთო ძალებით ხელი შეუწყოთ ჩვენი დიდი საერთო საქმის, ჟურნალის გაუმჯობესებას!

„ჟურნალის მეგობართა წრე“

უნდა დაარსდეს უფლგან, სადაც კი შესაძლებელია სშირი შესვედრა, თუნდაც სამი მეთხუთმეტის.

(იხ. 13 გვ.)

ნ. ჯეიშვილი

განათლების მუშაკთა საზოგადოებრივი მუშაობა სოფლად

თანამედროვე ცხოვრების სინამდვილემ განათლების მუშაკს უდიდესი მოვალეობა დააკისრა, ვინაიდან ის სოფლის პირობებში ბევრგან წარმოადგენს ერთად-ერთ კულტურულ ძალას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მოსახლეობის სამეურნეო და კულტურულ ძალების აღორძინებას. ჯერ კიდევ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა არ არის მომზადებული აგრო-კულტურის და მეურნეობის მაშინიზაციის მოსამარჯვებლად, ჯერ კიდევ ცრუმორწმუნოებას და ექიმბაშობას სოფლად გასავალი აქვს, ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარობა და მცირე მცოდნეობა და საერთოდ განუვითარებლობა ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენი სოფლის სინამდვილეში. ყოველივე ამას ადგილი აქვს უფრო აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთში. განათლების მუშაკთა კავშირი ხელისუფლებასთან და პარტიასთან ერთად დაინტერესებულია რაც შეიძლება დაჩქარებული ტემპით მოხდეს სოფლის კულტურულ-ეკონომიური აღორძინება.

მართლაც, განათლების მუშაკთა კავშირი, რომელიც აერთიანებს 20 ათას განათლების მუშაკთ, უდიდეს როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის განახლების საქმეში. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებიდან საიდანაც ოდნავადაც კი გვესმის კულტურულ მუშაობის მაჯისცემა, ყველგან და ყოველთვის განათლების მუშაკი არის თვალსაჩინო მოღვაწე სოფლის მოსახლეობათა შორის. განათლების მუშაკი სოფლად ყოველთვის წარმოადგენდა მოწინავე ელემენტს, რომელიც გარეშე თავისი პირდაპირი მოვალეობისა, ხელმძღვანელობდა მუშაობას სოფლის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრების გარდასაქმნელად, მიუხედავად იმისა, რომ ძველი რეჟიმი მას ამისათვის სდევნიდა და გასაქანს არ აძლევდა.

ახლა კი, როდესაც ხელისუფლებამ სოფლის ეკონომიურ-კულტურულ ცხოვრების გარდაქმნა დამკვრელ საკითხად გამოაცხადა, განათლების მუშაკთ ფართე სარბიელი გადაეშალა და ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის საქმეში ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

განათლების მუშაკთა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ობიექტიურ გამოკვლევას, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების აღნიშვნას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის გამოსამუშავებლად, განათლების მუშაკთა მრავალფეროვან საზოგადოებრივ მოღვაწეობის შესახებ სოფლად.

ამ საინტერესო საკითხის გაშუქების დროს გამოყენებული იქნება კონკრეტული მასალები ჟურნალ-გაზეთებიდან, ანგარიშებიდან, კონფერენციების და პლენუმების ოქმებიდან.

მრავალ ისტორიულ მიზეზების ზეგავლენით დასავლეთი საქართველო კულტურულად უფრო მაღლა სდგას, ვინემ აღმოსავლეთი, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში განათლების მუშაკთა საზოგადოებრივი მუშაობა მოისუსტებს, დასავლეთში კი პირიქით, გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს. დასავლეთ საქ. გლეხობა თვით მოითხოვს განათლების მუშაკთაგან, რომ ის იყოს სოფლის კულტურულ მაჯისცემის ხელმძღვანელი; აღმოსავლეთში—კი განათლების მუშაკი თვით უნდა იყოს ინიციატორი კულტურულ საქმიანობის წამომწყები გლეხობის განვითარებასთან და მათი საჭიროებასთან შეფარდებით. ტფილისის მაზრის განათლების მუშაკთა კონფერენციაზე ერთი ამხანაგი ერწოდან ხაზგასმით აღნიშნავდა გლეხობის კულტმუშაობაში ჩაბმის სიძნელეს (იხ. კონფ. ოქმი), ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში განათლების მუშაკთა საზოგადოებრივი მუშაობის მაჯისცემა უფრო ნელია, ვინემ დასავლეთში.

ავალაპარაკოთ ამ დებულების დასასაბუთებლად ფაქტები.

„კავშირის წევრთა 80% ჩაბმულია საზოგადოებრივ მუშაობაში, როგორიც არის თემსაბჭო, კოოპერაცია, გლეხკომი და სხვა. ხოლო ნებაყოფლობითი საზოგადოებანი: რემედასი, ავიაქიმი, წერკუმსი და სხვა—გადადის თითქმის მარტო ჩვენი კავშირის წევრებზე“ (ზუგდიდის განყოფილების ანგარიშიდან).

„პედაგოგიური მუშაობის გარდა (ხევ-ერკეთი ოზურგეთის მაზრა) მასწავლებლობა მთელი თავისი შესაძლებლობით დაინტერესებულია მეურნეობის განვითარებაში. მათი უმეტესობა ჩაბმულია თემსაბჭოს მუშაობაში. მათივე ხელმძღვანელობით იცემა სათემო კედლის გაზეთი. ქობ-სამკითხველოს მთელი მუშაობა დაკისრებული აქვს მასწავლებლობას. ასე რომ ხევ-ერკეთის მასწავლებლობა თავის მოღვაწეობით ყოველ მხრივ ხელს უწყობს გლეხობის კულტურულად დაწინაურებას“ (გაზ. „მუშა“ № 1486 4 XI 27 წ.).

„განათლების კავშირის წევრთა დიდი უმრავლესობა ჩაბმულია საზოგადოებრივ მუშაობაში. ჩვენი კავშირის წევრთა დიდი უმრავლესობა მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ—კოოპერაციისა, საბჭოს, თავდაცვა-ავიაქიმისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში. ზოგიერთ ადგილას აქტივის საზოგადოებრივი მუშაობით გადატვირთვას აქვს ადგილი“. (შორაპნის სამაზრო განყ. ექვს თვიანი ანგარიშიდან).

„უნდა ითქვას, რომ ჩვენი მასწავლებლობა (ქუთაისის მაზრის) ჩაბმულია საზოგადოებრივ მუშაობაში: არ არის არც ერთი დარგი, სადაც იგი აქტიურ მონაწილეობას არ იღებდეს“. (ც. გ. მეორე პლენუმის ოქმიდან.).

„კავშირის წევრთა საერთო რიცხვიდან სენაკის მაზრაში 720 კავ. წევრიდან სოფლად საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმულია 486 ამხარაგი, ე. ი. 67%,—აქედან: საბჭოებში 166, კოოპერატივებში 206, გლეხკომებში 89, სალიკვიდაციო სკოლებში 135, რემედასში 202, ქალთა შორის მუშაობაში 23, ქობ-სამკითხვე-

ლოებში 80, საკრედიტო ამხანაგობაში 53, ავიაქიმში 12, წითელ ჯვარში 55, პიონერთა შორის მუშაობაში 25, გლეხკომებში 33.

(სენაკის სამაზრო კონფერენციის მასალებიდან, ოქმი № 7, 1927 წ. სოფ. კიწია-სენაკის მაზრა) „კიწიას გლეხებმა თავისი ფულით და მარაგით შემოლობა გლეხური ახალგაზრდობის სკოლას მამული. სამაგიეროდ სკოლამ გლეხებს დაურიგა 5000 ბოსტნეულის სხვადასხვა ნერგები, რომელიც სკოლის სათფურებში მოიყვანეს. სკოლამ გლეხებს აგრეთვე მიაწოდა კარგი ჯიშის სხვადასხვა თესლები.—სკოლასა და გლეხებს შორის მჭიდრო კავშირია".

„ის აქტივობა, რომელსაც იჩენენ (აჭარისტანის) განათლების მუშაკნი, როგორც ქალაქში, ისე სოფლად საბჭოების, კოოპერატივების და სხვა საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობაში, მაჩვენებელია იმის, რომ გამგეობის მიერ აღებული ხაზი სწორი იყო"...

„ყოველი კულტურული, საზოგადოებრივ და სხვა საქმეში ინიციატორებად გამოდიოდენ ჩვენი კავშირის წევრები ადგილკომების ხელმძღვანელობით" (იხ. აჭარისტ. ექვს თვიანი ანგარიში).

კიდევ აუარებელი ფაქტების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ზემო აღნიშნულიც—ნათელყოფენ იმ დებულებას, რომ განათლების მუშაკთა უმრავლესობა ჩაბმულია საზოგადოებრივ მუშაობაში სოფლად. თუ ასეთი დადებითი სურათს იძლევა დასავლეთ საქართველოს განათლების მუშაკთა საზოგადოებრივი მუშაობის ფაქტიური მასალის შესწავლა, ასეთ სასურველ მდგომარეობას ჩვენ ვერ ვპოულობთ აღმოსავლეთ საქართველოში. რა არის ამის მიზეზი?

ცხადია, რომ მთავარი მიზეზი არის ამ მხარეს ჩამორჩენილობა. აქ განათლების მუშაკთ ნაკლებად ამოძრავებს გლეხობის მოთხოვნა. ამ პირობებში განათლების მუშაკი გაასკეცებული ენერგიით უნდა აწარმოებდეს კულტმუშაობას სოფლად. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ მოვლენას სავსებით არ აქვს ადგილი სინამდვილეში.

ავალაპარაკოთ ფაქტები: გარე კახეთი. მანავის თემი. (იხ. კომუნისტი № 113, 1926 წ.). „საგრძნობლად მოისუსტებს მასწავლებელთა სკოლის გარეშე მუშაობა, ეს კი აუცილებელია ისეთ ჩამორჩენილ სოფლისათვის, როგორც თხლაურია, იმედია ტფილისის განათლების განყოფილება მომავალ სამოსწავლო წლიდან გამოგზავნის ერთ ან ორ მასწავლებელ შამაკაცს, რომლებიც გაუძღვებიან სკოლასთან ერთად სოფლის საქმესაც".

„სოფლის საზოგადოებრივი მუშაობა საერთოდ მიმდინარეობს. ბევრგან მუშაობა სასურველ სურათს იძლევა, მაგრამ ამავე დროს არის შემთხვევები სრული უმოქმედობისა განათლების მუშაკის მხრივ". (სიღნაღის მაზრის გამოკვლევის მასალიდან.).

«Касаясь общественной работы просвещенцев на селе необходимо отметить, что участие учительства в означенной работе выражает-

ся в самом Люксембурге в 15% а в селах это % несколько выше (из обслед. Борчалинского. у. о.).

თუ ფშავ-ხევსურეთს და თუშეთს ავიღებთ აქ სურათი ჩვენი კულტურულ ჩამორჩენილობისა მეტად თვალსაჩინოა. ამ გარემოებას აქედანვე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რომ აქაც შევიტანოთ კულტურის სხივები და ვიხსნათ ჩვენი მოძმენი უკულტურობის ბრჭყალებისაგან. აი რას სწერს ამხ. ფილიპე მახარაძე ამის შესახებ (იხ. კომუნისტი 6/XI 27 წ.) „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აქ ის სამარცხვინო მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან ფშავ-ხევსურული ქალები. მართალია, ისინი არ ატარებენ ჩადრს, მაგრამ ხალხის თვალში ისინი პირუტყვისაგან არ განირჩევიან". პარტიის და ხელისუფლების განსაკუთრებულ მსჯელობის საგნადაა გადაქცეული ამ მხარეში კულტურულ მუშაობის გაჩაღება. ამ საქმეში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს მასწავლებელმა, განსაკუთრებით მასწავლებელმა ქალმა, რომელსაც უნდა ჰქონდეს ინტერესი საზოგადოებრივ მუშაობისადმი, გული შესტკივოდეს ჩვენი მოძმეების ასეთ მდგომარეობაზე. ცხადია ფშავ-ხევსურეთ-თუშეთში მომუშავე მასწავლებელი განსაკუთრებულად უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ეს აუცილებელი პირობაა აქ კულტურულ მუშაობის გასაჩაღებლად. განათლების კომისარიატი, ცხადია, ამ გარემოებას უდიდეს ყურადღებას მიაქცევს და მით ჩააბამს საზოგადო-მოღვაწე მასწავლებლებს, ამ ქვეყნის კულტურულ აღორძინების საქმეში.

(დასასრული იქნება)

ტფილისის ადგილკომების გაძლიერება

(დასასრული *)

ასე თუ ისე ადგილკომები ჩამოყალიბდა და შეუდგნენ მუშაობას. კავშირის ც. გ. სცდილობდა ყოველმხრივი დახმარება გაეწია მათთვის და მიეწოდებია საჭირო ინსტრუქციები. პირველ ხანებში ადგილკომის მუშაკები უხალისოდ, ან შიშით ეკიდებოდნენ საკავშირო მუშაობას და არ იჩენდნენ ინტერესს საქმის გაცნობისადმი. მაგრამ ხშირად საქმის აუცილებლობა და მათ წინაშე წამოჭრილი პრაქტიკული საკითხები, რომლებიც უსათუოდ ადგილკომის ჩარევას მოითხოვდნენ, აიძულებენ ამხანაგებს უფრო მეტი ყურადღება მიექციათ საკავშირო მუშაობისათვის. შეესწავლათ და დაახლოვებოდათ მას.

კავშირის მასაც, აუცილებლობის გამო, იძულებული ხდება ადგილკომს მეტი ყურადღება მიაქციოს და მეტი მოთხოვნილება წაუყენოს მას.

---

*) იხ. „განათლების მუშაკი" № 5.

ადგილკომში არჩეული ამხანაგებიც გრძნობენ თავის პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე და ანგარიშს უწევენ მათ მოთხოვნილებებს.

ეს სამი მიზეზია, ჩვენის აზრით, ის მთავარი მოტივები, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი ადგილკომების მუშაობის გაჯანსაღებას, მათი ავტორიტეტის ამაღლებასა და კავშირის მასის ინტერესის გაძლიერებას ადგილკომებისადმი.

მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია ის უმთავრესი მიზეზი, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი საკავშირო მუშაობის გამოცოცხლებას. ეს არის ჩვენი კავშირის მასის, განსაკუთრებით მასწავლებლობის პოლიტიკური გარდატეხა და მათი დაახლოება და თანაგრძნობა ხელისუფლებისა და პარტიისადმი.

პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ კავშირის წევრების ინტერესები მოითხოვს ადგილკომში არჩეულ იყვნენ არა ის, ვინც მხოლოდ ამაზე სურვილს განაცხადებს, არამედ ისინი ვინც ჩვენი ნდობით არიან აღჭურვილნი, ვისაც შეუძლია კავშირის წევრთა ინტერესების დაცვა და ვისაც საამისო მომზადებაც აქვს.

აუცილებელი შეიქნა პროფსაკითხების შესწავლა და ამას მოჰყვა ადგილკომთა მუშაობის გამოცოცხლებაც.

ამნაირად ამ ორი წლის განმავლობაში სურათი სრულიად იცვლება, იცვლება როგორც კავშირის მასის დამოკიდებულება ადგილკომებისადმი, ისე ადგილკომების მომუშავეთა დამოკიდებულება თავიანთი მოვალეობისადმი.

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ ადგილკომების რეორგანიზაციამ (დაპატარავებამ), გაამართლა მაზე დამყარებული იმედები და სრულიად დადებითი შედეგები მივიღეთ.

ერთ მთავარ დადებით შედეგთაგანად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საკავშირო მუშაობაში კავშირის წევრები საკმაოდ არიან ჩაბმულნი (ყოველ 20 წევრზე არა უმცირეს 2—3 სა). და ეს უკანასკნელი კი გვაძლევს მთელ კადრს ცოტად თუ ბევრად მომზადებულ პროფმუშაკებისას. ადგილკომებში მომუშავე ჩვენი ამხანაგები დღეს უკვე საკმაოდ ერკვევიან პროფსაკითხებში და ეს დიდ სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამასთან დაკავშირებით ამაღლდა ადგილკომების ავტორიტეტი, გაუმჯობესდა მათთან არსებულ კომისიების მუშაობა, რომელნიც დღემდე მხოლოდ ქაღალდზე ითვლებოდნენ და მასთან ერთად შეიცვალა ფართო მასის შეხედულება მათზე. ამ უკანასკნელის ნათელ სურათს იძლევა ადგილკომების მიმდინარე გადარჩევა.

წინად თუ ადგილკომის არჩევნებისათვის ორჯერ და ხშირად სამჯერ იყო საჭირო კრების მოწვევა, დღეს იშვიათია ისეთი შემთხვევა, სადაც პირველი კრება არ შესდგეს წევრთა დაუსწრებლობის გამო. წინა არჩევნებზე იყო შემთხვევები, როდესაც ადგილკომს მხოლოდ წევრთა ერთი მესამედი ირჩევდა (მეორე მესამე კრების დროს), მიმდინარე არჩევნებზე კი კრებებს საშუალოდ ამომრჩეველთა 80% ესწრება. არჩევნების დროს ზოგიერთ შემთხვევაში წევრები ადგილკომის ანგარიშის მოსმენის წინააღმდეგიც იყვნენ, ხოლო თუ კი მოისმენ-

დნენ, არავითარ მონაწილეობას მის შეფასებაში არ იღებდნენ და გადადიოდნენ შემდეგ საკითხებზე. დღეს კი კავშირის წევრები პირიქით თვითონ მოითხოვენ ადგილკომის ანგარიშს და აქტიურ მონაწილეობას იღებენ მის შეფასებაში. მიმდინარე ჩვენი კრებები ფრიად ცოცხალ[illegible]ა და საინტერესო კრებებს წარმოადგენს. ამხანაგები დაინტერესებულნი არიან, როგორც საკავშირო მუშაობით, ისე სხვა საკითხებითაც, შეაქვთ თავისი შეკითხვები, გამოდიან საკამათოდ და სხვ. ხშირია შეკითხვები: როგორ ჩაატარა ადგილკომმა ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანია, რა მუშაობა აწარმოვა კულტკომისიამ საერთოდ და კერძოთ ტეხნიკურ თანამშრომელთა შორის, რა ზომები მიიღო სათვითგანვითარებო წრეების დასაარსებლად, როგორი მონაწილეობა მიიღოს შრომის დაცვის კომისიამ და შემფ. საკ. კომისიის მუშათა ფრაქციამ შინაგან განწესრიგების შემუშავებაში, რამდენი კაცი ჩააბა პროფსკოლებისა და პარტსკოლების მუშაობაში, რა მდგომარეობაშია ხელფასის, პენსიის, ხუთწლიან დამატებების საკითხი, როგორი მონაწილეობა მიიღო ადგილკომმა ამა თუ იმ კონფლიქტის მოგვარებაში, როგორ დამთავრდა იგი და სხვა მრავალი. ამ გარემოებას, ადგილკომების მუშაობის ყოველმხრივ განხილვას, ხელს უწყობს აგრეთვე ის წესიც, რომელიც მიმდინარე არჩევნებზეა შემოღებული—იმ ადგილკომში, სადაც ას კაცზე მეტია გაერთიანებული, პირველ კრებაზე ხდება მხოლოდ ადგილკომის მუშაობის ანგარიშის მოსმენა და მისი შეფასება. არჩევნებისათვის კი იწვევა მეორე კრება. ეს საშუალებას აძლევს კრებას უფრო დაკვირვებითა და აუჩქარებლივ განიხილოს ადგილკომის მუშაობა და არჩევნებისათვის სათანადოდ მომზადებული მოვიდეს. ამასთანავე არჩევნებამდე ცალკე გამოყოფილი კომისია იმუშავებს იმ წინადადებებს, რაც კრებას სასურველად მიაჩნია მომავალი ადგილკომის მუშაობისათვის. საერთოდ მიმდინარე არჩევნებში შემოღებულია ფართო დემოკრატიული წესი და კავშირის მასა ფართო მონაწილეობას იღებს მასში.

შეიცვალა მდგომარეობა არჩევნების მხრივაც. აქ ამომრჩევლები უკვე სწორ გზას ადგას და კანდიდატების შერჩევის დროს ხელმძღვანელობს არა იმ მოტივებით, რომლებზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი, არამედ ეძებს ისეთ ამხანაგებს, რომლებსაც შეუძლია საქმის გაკეთება. ამის შედეგად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ მიმდინარე არჩევნები, თუმცა აღრიცხვა საბოლოოდ დამთავრებული არ არის, 25—30% ადგილკომის განახლებულ შემადგენლობას იძლევა. უნდა ითქვას, რომ არჩევნებს განსაკუთრებით სიფრთხილითა და ფხიზლად ეკიდებიან ისეთ ადგილკომებში, სადაც ადგილი ჰქონდა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან კონფლიქტებს. სჩანს ეს უკანასკნელი გარემოება უფრო თვალსაჩინოდ ხდის ადგილკომის მნიშვნელობას კავშირის წევრთათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილკომისა და საერთოდ საკავშირო მუშაობისადმი ერთნაირი განწყობილება არ არის ჩვენი კავშირის მასის ყველა ჯგუფებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი ჯგუფი—ნაწილი ადმინისტრა-

ციისა და ნაწილი მაღალი კვალიფიკაციის მქონე წევრებისა. პირველი ჯგუფი საკავშირო მუშაობას რაღაც ირონიით უყურებს. ამას განსაკუთრებით ისინი საერთო კრებებზე ამჟღავნებენ. არის ნაწილი ადმინისტრაციისა, რომელიც ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ ადგილკომში მისთვის მისაღები კანდიდატები გავიდნენ და საერთოდ ის მისი გავლენის ქვეშ იყოს. ერთ-ერთ სკოლის გამგემ ადგილკომის არჩევნებზე უმფროსი კლასის მოწაფეებიც კი მოიყვანა და მოინდომა მათ არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მაღალი კვალიფიკაციის მქონეთ, კავშირის ეს ნაწილი, მცირე გამონაკლისის გარდა, საკავშირო მუშაობას სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევს და არც იცნობს მას. მათ რაღაც განყენებულად უჭირავთ თავი და კავშირი ზედმეტ ბარგად მიაჩნიათ. ეს მდგომარეობა აუცილებლად ამ ჯგუფის შეუგნებლობას უნდა მიეწეროს და ადგილკომის მუშაობის სისუსტეშიაც უნდა ვეძებოთ მიზეზები. სადაც ადგილკომის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე სდგას იქ ამ ჯგუფის განწყობილება უკვე იცვლება და საკავშირო მუშაობით დაინტერესებაც მეტია.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ საერთოდ ჩვენი კავშირის მასას დიდი გაგამოცოცხლება და საკავშირო მუშაობისადმი დიდი ინტერესი ემჩნევა, ადგილკომების მუშაობაც ნორმალურ კალაპოტში დგება და იმედი უნდა ვიქონიოთ. რომ ახლო მომავალში ისინი სათანადო სიმაღლეზე დადგებიან და მათი და კავშირის წევრთა აქტიური მონაწილეობით გაძლიერებული იქნება საერთოდ ჩვენი კავშირის მუშაობაც.

ტფილისის მასწავლებლობა და ბინა

ბინის საკითხი ტფილისში საზოგადოდ და კერძოდ მასწავლებელთათვის ძალიან მწვავედ სდგას. მათ მატერიალურ მდგომარეობაზე ლაპარაკი ხომ მეტია. მართალია განათლების მუშაკთა კავშირს აქვს თავის წევრთათვის რამოდენიმე ადგილას სახლები, სადაც სხვა კავშირის წევრები უფრო მეტი სცხოვრობს, ვიდრე განათლების კავშირისა, მაგრამ ეს სახლებიც ძალიან მცირე ნაწილს დააკმაყოფილებდა, თუნდაც მთლად კავშირის წევრებმა რომ იცხოვრონ. უმრავლესობა კი განიცდის ამ მხრივ დიდ გაჭირვებას. ზოგი კერძო ბინაში სცხოვრობს და, ვინ იცის, სახლის პატრონისგან, ან სხვა მდგმურებისაგან რამდენ შეურაცყოფას იტანს. ზოგიც შეხიზნულია ვისთანმე. წარმოვიდგინოთ ერთი წუთით მაინც ასეთების მდგომარეობა. არ იცის, რომელ კუთხეში შეუძლია თავისუფლად დაისვენოს და თავის ხვალინდელ სამუშაოზე იფიქროს. მგონი, ეს ყველაფერი ყველასათვის ცხადია, მით უმეტეს, თუ განუცდია კიდეც.

ძალიან კარგი იქნებოდა, თუ განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა, თუმცა თავის სამუშაოებითაც საკმაოდ დატვირთულია, იკისრებდა

და შეჰქმნიდა სააღმშენებლო კომისიას მსურველ ტფილისელ მასწავლებელთათვის ბინების ასაშენებლად, რომელიც დააარსებდა სააღმშენებლო ამხანაგობას.

უქსს (უძრავ ქონებათა სამართველოს) საკმაოდ მოეპოვება მიწის ნაკვეთები ქალაქის სხვადასხვა ადგილებში, სადაც შეიძლება აშენდეს ცალკე ბინებიც და კოლექტიურიც.

ამისათვის საჭიროა ზემოდ დასახელებული კომისია ეხლავ შეუდგეს წესდების შემუშავებას და შემდეგ გამოარკვიოს, თუ რამდენი წევრი აღმოჩნდება მსურველი.

ასეთი ამხანაგობები დღეს ტფილისში ბევრია და ბევრგანაც გააშენეს ბინები. ზოგიერთმა ამხანაგობამ ჩაასახლა კიდეც თავისი წევრები: დიდუბეში, ფიქრის გორაზე, ვაკეზე და სხვაგანაც. მაგალითად, ფიქრის გორაზე თითო წევრმა გადიხადა პაი 50 მან. და რაკი ამხანაგობამ იურიდიული სახე მიიღო, მთავრობამ საჭირო კრედიტი გაუხსნა.

ბინები გააშენეს, წევრები დაასახლეს და დავალიანებას იხდის ამხანაგობა 40 წლის განმავლობაში ჯამაგირის 10% რაოდენობით, ხოლო არა ნაკლებ სამი მანეთისა თვეში (თითო წევრზე). მგონი ასეთ პირობებში ბევრი ჩვენი კავშირის წევრიც უარს არ იტყოდა ჰქონოდა საკუთარი და თავის გემოვნებაზე აშენებული ბინა.

ალ. გერმანაშვილი.

დაუყოვნებლივ
დაარსეთ
„ქურნალის მეგობართა წრე“
(იხ. 13 გვ.)

ამხ. გ. ქურდოვანიძე

გორის მაზრის განათლების მუშაკთა კავშირს გამოაკლდა ერთი დაუღალავი, გამოცდილი და ერთგული მუშაკი, განათლების მუშაკთა კავშირის ხაშურის ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. **გოგია ქურდოვანიძე.**



ამხ. გოგიას თაოსნობითა და დაუღალავი შრომით მოეწყო განათლების მუშაკთა ხაშურის პირველი პროფუჯრედი; მან შეაკავშირა ორგანიზაციულად ხაშურის მასწავლებლობა და დარაზმა ჩვენი ადგილკომის გარშემო. მისმა ენერგიულმა მუშაობამ, როგორც პედაგოგიურ ასპარეზზე, ისე პროფესიონალური და საზოგადოებრივი ხაზით, შეუქმნა მას საკმაოდ დიდი ავტორიტეტი არა მარტო ხაშურის მასწავლებლობაში, არამედ ადგილობრივ ხელისუფლების და გლეხობის თვალშიაც და მთელი მაზრის განათლების მუშაკთა შორის.

გოგიას სახელი დაკავშირებულია ხაშურის განათლების მუშაკთა სახელთან, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა მისი ინიციატივით და მოეწყო მთელი საკავშირო მასის აქტიური ხელის შეწყობით.

ასეთი დაუღალავი მუშაკი გამოგლიჯა ჩვენ ორგანიზაციას ულმობელმა სიკვდილმა. ეს დანაკლისი საგრძნობია არა მარტო მისი პირად ნაცნობ-მეგობრებისათვის, არამედ მთელი ჩვენი საკავშირო მასისათვის.

დიდი მომავალი ჰქონდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე ამხ. გოგიას, ბევრი რამ ჰქონდა შესასრულებელი, ბევრი მოვალეობა გათვალისწინებული, მაგრამ არ დასცალდა და ჩვენ მხოლოდ ეს-ღა დაგვრჩენია ვსთქვათ: მშვიდობით, ამხ. გოგია! შენი სახელი მუდამ იქნება ჩვენ შორის, როგორც საუკეთესო ამხანაგის და პროფმუშაკის, ერთგული მასწავლებლის და ენერგიული დამცველის განათლების მუშაკთა ინტერესების.

გ. თათარიშვილი.

კარგი ამხანაგის ხსოვნას

Ამხ. გ. ქურდოვანიძის უდროო სიკვდილით ჩვენი კავშირის მოწინავე რიგებს გამოაკლდა ერთგული და ენერგიით სავსე მუშაკი. საბჭოთა სკოლამ დაჰკარგა ჩუმი, მაგრამ ბეჯითი მასწავლებელი. ამხ. გოგია ეკუთვნოდა მასწავლებელთა იმ საუკეთესო ნაწილს, რომელიც თავის მუშაობას არ განსაზღვრავდა სკოლის ფარგლებით, არამედ უკავშირებს საზოგადოებრივ მუშაობას. ის დიდ ენერგიას ანდომებდა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას და მთელი მისი მუშაობა იქით იყო მიმართული, რომ მასწავლებლობა და საერთოდ განათლების მუშაკნი ჩაება ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში.

დავკარგეთ არა მარტო ბეჯითი მასწავლებელი და აქტიური პროფმუშაკი,—დავკარგეთ მშვენიერი ამხანაგი და კარგი ადამიანი... ჩვენ მწუხარებას ვერაფერი უშველის, თორემ ამხ. გოგიას ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს შორის.

შ. გეგენავა.

ქობულეთის რაიონის განათლების მუშაკთა კონფერენცია

12 ნოემბერს ქ. ქობულეთში შესდგა მასწავლებელთა საერაიონო გაერთიანებული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო რაიონის სოფლების სკოლების მასწავლებლები.

განსახილველი იყო: 1) მეთოდიური და პედაგოგიური სხვადასხვა საკითხები; 2) ქობულეთის სამაზრო განათლების მუშაკთა ადგილკომის მუშაობის წლიური ანგარიში; 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 4) საურთიერთო დამხმარე სალაროს დაარსება; 5) რაიადგილკომის, საურთიერთო დამხმარე სალაროს გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

მეთოდიურ-პედაგოგიურ და საერთოდ სკოლის დღევანდელ საჭირბოროტო საკითხების შესახებ მოხსენება გააკეთა მაზრის განათლების ინსპექტორმა ს. ნიკოლაიშვილმა, რომელიც შეეხო სხვადასხვა საგნების დაყენებას და სწავლების მეთოდებს. მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები და გაიმართა კამათი, რომელშიც ცხოველი მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლებმა. ახალ კომპლექსურ პროგრამების ცხოვრებაში გასატარებლად და სამუშაო გეგმის გამოსამუშავებლად გადაწყდა ხშირად გაიმართოს მსგავსი კონფერენციები მორიგეობით რაიონის შესაფერ სკოლებში.

ქობულეთის სამაზრო ადგილკომის წლიურ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. ხ. ხინიკაძემ, რომელმაც გააცნო დამ-

სწრეთ ადგილკომის საქმიანობა და მიღწევები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მასწავლებელთა შორის სათვითგანვითარებო—საწრეო მუშაობას ნაკლები ადგილი ეჭირა საანგარიშო წლის განმავლობაში. ამხ. ხინიკაძის შემდეგ სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ივ. მჟავანაძემ. კრებამ ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად აღიარა და იმედი გამოსთქვა, რომ ახალი გამგეობა მეტ ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს.

კრების დასასრულ მოხსენებით გამოდის აჭარისტანის განათლების მუშაკთა ცენტრალური კავშირის ინსტრ. ამხ. კ. კობიძე, რომელიც ფრიად საჭირო და სასარგებლოდ აღიარებს რაიონში ადგილკომის გამოყოფას და მასთან საურთიერთო სალაროს დაარსებას, რადგან დაშორებული მასწავლებლები მოკლებულნი იყვნენ სალაროთ სარგებლობას და სხ. ამხ. კობიძის წინადადება მიღებულ იქნა კმაყოფილებით. კრებაზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ზოგი წევრი საწევრო გადასახადის შეტანას აგვიანებს თვეობით და თავის თავს მით უხერხულობაში აყენებს. სავალდებულოდ იქნა აღიარებული პროფესიონალურ-პედაგოგიურ ჟურნალ „განათლების მუშაკის“ გამოწერა თითოეულ მასწავლებლისთვის.

ბოლოს მოხდა ადგილკომის, საურთიერთო დამხმარე სალაროს გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

მასწავლებელთაგანი.

ᲓᲐᲑᲐ ᲜᲐᲒᲝᲛᲐᲠᲘ

(გურია).

ა/წ. ნოემბრის 30-ს შესდგა ნაგომრის რაიონის გან. მუშ. კავშირის წევრთა წლიური საანგარიშო კრება, რომელსაც დაესწრო სამაზრო კავშირის გამგეობის თა-რე ამხ. გერმ. ჯიბლაძე.

მოსმენილ იქნა საანგარიშო მოხსენება ადგილკომის წლიური მუშაობის შესახებ, რამაც გამოიწვია კრების წევრების საქმიანი კრიტიკა და ღირსეული შეფასება.

გამოირკვა, რომ მიუხედავად ადგილკომის თავმჯდომარის ენერგიული ღონისძიებებისა, მუშაობა საკავშირო ხაზით ვერ მიმდინარეობდა წესიერად, მეტადრე დაშორებულ უბნებში, სადაც წრეების და კომისიების (კულტკომისია, შრომის დაცვის, საკონფლიქტო) საქმიანობას ემჩნეოდა ერთგვარი გულგრილობა.

აღსანიშნავია, რომ ნაგომრის ადგილკომი აერთიანებს საკმაოდ დაშორებულ სკოლების თანამშრომლებს (ეანი, ზომლეთი, ჭანჭათი, აკეთი,—მანძილი ცენტრიდან 5—6 ვერსი). შორე მანძილი, უვარგისი გზები და შუაზე მდინარე სუფსა ბუნებრივად ის ხელის შემშლელი პირობებია, რომლებიც დიდ დაბრკოლე-

ბად ელობება ნაყოფიერ მუშაობას და აძნელებს ცენტრის კავშირს და საქმიან ურთიერთობას ადგილებთან.

კრებამ გაითვალისწინა ყოველივე ეს და მტკიცედ აღიარა, რომ მომავალში ასეთი მდგომარეობის დატოვება შეუწყნარებელია.

ამ მხრივ უსათუოდ მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ამავე კრების მიერ მიღებული დადგენილება, რომლითაც საადგილკომო ცენტრად აღიარებულია ს. აკეთი; ჩვენი აზრით ეს გარემოება ხელს შეუწყობს მუშაობის გაშლა-გაცხოველებას განათლ. მუშაკთა შორის დაიახლოებს რა რაიონის საკავშირო მასის დიდ უმრავლესობას.

ამის თავდებია კრების შემადგენლობის საღი მსჯელობა და ამავე კრების მიერ მიცემული საქმიანი დირექტივები ახლად არჩეული ადგილკომის მიმართ.

ერ. ბურჯულაძე.

ჩავატარეთ ადგილკომის არჩევნები

განათლების მუშაკთა კავშირის მე-29-რე ადგილკომის გაერთიანებული კრება ადგილკომის წევრების მოხდა ა/წ 30 დეკემბერს რომელზედაც წევრების უმრავლესობა დაესწრო. დღის წესრიგში საინტერესო საკითხები იდგა.

1) ადგილკომის ანგარიში;
2) სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3) ადგილკომის ახალი შემადგენლობის არჩევა.

აღნიშნულ კრებაზე დაესწრო ცენტრალური გამგეობიდგან ამხ. ჭეიშვილი. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ადგილ-კომ. თავჯდომარემ ამხ. პ. ლეჟავამ, რომელმაც აღნიშნა ნაკლიც და მიღწევებიც ადგილკომის მუშაობისა. მან აღნიშნა, რომ ადგილ-კომის წევრები იყვნენ სხვადასხვა მუშაობაში ჩაბმულნი, რომლებიც თავის მოვალეობას ასრულებდნენ ჰირნათლად. ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციაში საკმაო მონაწილეობა მიიღეს კავშირის წევრებმა, და შეიძინეს ობლიგაციები 5 მან. 15 მანეთამდე. არ დარჩენილა არც ერთი წევრი ადგილ-კომ., რომ არ შეეძინოს ობლიგაცია.

საკონფლიქტო კომისიის მუშაობა მიმდინარეობდა სისწორით. კულტურული მუშაობაც სწარმოებდა. წერა-კითხვის უცოდინაროზას ადგილი ჰქონდა დარაჯებში, როგორც მე-4-ე შრომის სკოლაში, და ინტერნატში. ასეთები ყველანი იგზავნებოდენ ლიკ-პუნკტებში. აგრეთვე ყველა კავშირის წევრები იწერენ ჟურნალ **„განათლების მუშაკს“**. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კულტურული მუშაობა მოიკოჭლებდა, მაგრამ ეს იქნება - მომავალში გამოსწორებული და უსურვებს მომავალ ადგილკომის შემადგენლობას ნაყოფიერ მუშაობას.

შემდეგ ინფორმაციული მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლ. რევია, რომელიც აღნიშნავს, სარევიზიო კომისიის მუშაობას. ლაპარაკობს, რომ ჩვენ სისტემატიურად ვახდენდით რევიზიას და ვათვალიერებდით ადგილკომის მუშაობას. ყოველთვის საქმე სწორად იყო დაყენებული. კამათში მონაწილეობას იღებენ კულტგანყოფილების გამგე ამხ. ჭეიშვილი და ოდიკაძე, რომლებიც შეეხენ ადგილკომის მუშაობას და დაახასიათეს მომავალი მუშაობის ხაზი. განვლილი მუშაობა იქმნა შეფასებული დამაკმაყოფილებლად. შემდეგ მოხდა არჩევნები: კრებამ აირჩია ადგილკომის წევრები სამი კაცის შემადგენლობით და ორი კანდიდატურით. წევრებად იქმნენ არჩეულნი: ამხ. ამხ. გრიგოლ მარდალეიშვილი, შალ. ოდიკაძე, გიორგი კაჭკაჭიშვილი, კანდიდატებად კი—მგალობლიშვილი და ილური.

აგრეთვე აირჩიეს სარევიზიო კომისია ასეთი შემადგენლობით: ლ. რეკია, მ. ფაჩუაშვილი და კ. გაჩეჩილაძე.

გრიშა მარდალეიშვილი.

გაფრთხილება

ზოგიერთი ადგილკომები ძლიერ აგვიანებენ ხვედრი ფულის გამოგზავნას, რაიც დიდად აბრკოლებს ჟურნალის თავის დროზე გამოსვლას.

დაბეჯითებით ვთხოვთ ასეთ ამხანაგებს, ადგილკომებს და ერთეულ ხელის მომწერლებს, მათზე დარჩენილი ჟურნალის თვიური საფასური დაჩქარებით გადმოგზავნონ რედაქციაში.

ვ. ᲮᲣᲠᲪᲘᲫᲔ

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

IV

ᲒᲐᲕᲐᲠᲩᲘᲝᲗ სანიმუშოდ ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“.

მოთხრობის წაკითხვამდე საჭირო იქნება მოკლე წინასწარი საუბრის გამართვა ნაწარმოების მთავარი თემის შესახებ. „გლახის ნაამბობის“ მთავარ თემად უნდა ჩაითვალოს წოდებათა ურთიერთრბა ბატონ-ყმობის დროს. იმავე დროს მოცემულია ბატონ-ყმობის დროის ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ფონიც. ჯერ ძალიან მოკლედ, სულ ორი-სამი კითხვის საშუალებით, მოგონებულ უნდა იქნეს ბატონ-ყმობა—რაში მდგომარეობდა, როდის მოისპო, რისთვის მოისპო,—შემდეგ უნდა დასახელდეს ის მოთხრობა თუ ლექსი, რაიც მოწაფეებს უკვე უსწავლიათ ბატონ-ყმობის შესახებ და ბოლოს მასწავლებელი ამბობს რომ ახლა დაიწყება კიდევ ერთი ნაწარმოების შესწავლა ბატონ-ყმობის დროიდან. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელმა იცის, რომ ზემოდ მოყვანილ კითხვების დასმა ზედმეტია,—ვსთქვათ წინა საათებზე საზოგადოებათმეცნიერებაში უკვე იყო ამის შესახებ გაკვეთილი, მაშინ ეს მუშაობა შეიძლება სრულებითაც არ აწარმოოს.

ამის შემდეგ მოთხრობა უნდა იქნეს გულდასმით წაკითხული. ვინაიდან ნაწარმოების მთლიანად აღსაქმელად მარტო წაკითხვა არ კმარა, აუცილებლივ საჭიროა მისი მოკლე შინაარსის გადმოცემა. ამნაირად მხატვრული მთლიანი სურათის აღქმა-შთაბეჭდილებათ მიღება—უკვე დასრულებულია და ახლა უნდა შევუდგეთ ამ სურათის უფრო დაწვრილებით შეთვისებას—მწერლის ფანტაზიის მიერ მოცემული სინამდვილის ნაწილი უნდა გავითვალისწინოთ შინაგანი აგებულობის და აღნაგობის მხრივ. ამ მიზნის მისაღწევად ვსვამთ შემდეგ კითხვებს:

ა) ჩამოთვალეთ მოთხრობის მთავარი მომქმედი პირები! პასუხი: გაბრო და დათიკო.

ბ) მეორე ხარისხოვანი? პასუხი: მოძღვარი, პეპია, თამრო, გიტო და სხვები.

გ) მიმითითეთ გაბროს მთავარ მოქმედებებზე, რა პირობებში როგორ იქცევა იგი? პასუხი: 1) იგი ერთგულად ემსახურებოდა ბატონს ქალაქში, მუდამ

მასთან იყო და მასზე ბრუნავდა; ასე იქცეოდა იგი სოფელშიც; 2) როდესაც გაიგო, რომ დათიკო მისი საცოლეს—თამროს გაუპატიურებას აპირებდა, მივიდა და სთხოვა: ნუ ჩაიდენ ამასო. დათიკომ არ დათმო, მაშინ გაბრო იძულებული იყო თავისი თხოვნა ძალით დაეცვა და ხანჯალ ამოღებული მივარდა ბატონს, მაგრამ ამ დროს მას დაატუსაღებენ. 4) ტყეობიდან განთავისუფლებული გაბრო ბატონს ჰკლავს.

დ) ვისი სურვილის მიხედვით მოქმედებდა პატარა გაბრო სოფელში და ქალაქში? პასუხი: ბატონის, თავისი სურვილი და ნებისყოფა მას ჯერ არ გამოეჩინა და თავისი პიროვნება სხვისთვის დაემონებია.

ე) სწუხდა გაბრო ამის გამო? პასუხი: სრულებითაც არა, თავს ბედნიერადაც კი გრძნობდა.

ვ) როდის მოითხოვა გაბროს პიროვნებამ თავისი უფლებები? პასუხი: ცოლის შერთვის დროს.

ზ) დააფასა ბატონმა მისი პიროვნება, დაუთმო? პასუხი: არ დააფასა. არ დაუთმო.

თ) რას მოითხოვდა გაბრო, ისეთ რაიმეს, რისი შესრულებაც ბატონის საარსებო ინტერესებს ლახავდა? პასუხი: არა, სრულ უბრალოს, რაც გაბროსთვის უდიდესი რამ იყო—ნამუსი, პატიოსნება,—ბატონისათვის კი წუთიერი და შემთხვევითი.

ი) რითი დაიცვა გაბრომ თავისი თხოვნა? პასუხი: მოქმედებით, იარაღით.

კ) რამდენ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ გაბროს მიერ მონამოქმედები? პასუხი: ორად; პირველი, როდესაც ის თავისი მოვალეობის პირნათლად შემასრულებელია, თავისთავს ივიწყებს და სხვის პიროვნებას ენაცვლება, გარეშეებს აძლევს. მეორე: როდესაც თხოულობს იმას, რაც ყოველ ადამიანს ბუნებრივად შეჰფერის. და რაკი თავისას ვერ აღწევს, მოქმედებას იწყებს. ამ პროცესში კიდევაც დაიღუპება.

ლ) რა თვისებებს მატარებლად შეგვიძლია ზემოთქმულის მიხედვით დავასახოთ გაბრო? პასუხი: მას ახასიათებს მოვალეობისადმი ერთგულება, სხვებისთვის ზრუნვა-სოციალობა, სამართლიანობის გრძნობა, შრომის მოყვარეობა, ოჯახური ცხოვრებისკენ მისწრაფება, წრფელი სიყვარული, აქტიობა, ადამიანური ღირსების შეგნება და სხვ.

მ) მაჩვენეთ მოთხრობის ტექსტში სად არის თითეული ეს თვისება აწერილი. პასუხი: მოწაფეები კითხულობენ შესაფერ ადგილებს.

გაბროს დახასიათების შემდეგ გადავდივართ დათიკოზე, რომლის სულიერი რაობის შესაცნობად, თუ მკითხველი დააკვირდება, მუშაობის მთავარი ნაწილი უკვე ჩავატარეთ გაბროს დახასიათების დროს.

ა) ჩამოთვალეთ დათიკოს ნამოქმედარი. პასუხი: ფუქსავატად დროის ტარება, ცუღლუტობა სწავლაში, გაბროსთან შეტაკება, თამროს ნამუსის ახდა, გაბროსთვის გაქცევაში ხელის მოწყობა და სხვ.

ბ) ვის სასარგებლოდ მოქმედებს დათიკო—სხვების, თუ თავისითავის? პასუხი: დათიკოს მხოლოდ თავისითავი ახსოვს და პირად სარგებლობისათვის მოქმედებს, მხოლოდ ერთხელ იზრუნა სხვაზე: გაბრო და პეპია გააქცია ტყვეობიდან.

გ) ვინ დგას ცხოვრების ცენტრში დათიკოსათვის—პირადად ის, თუ გარეშე ადამიანები. პასუხი: დათიკოს თავისი თავის მეტი არავინ სწყამს, ყველა მას უნდა შეეწიროს და ემსახუროს, სხვისი პიროვნება მას იმდენად სწყამს, რამდენად მისგან ისარგებლებს და დატკბება. დათიკო გაშიშვლებული ეგოისტი და ანტისოციალური ტიპია.

დ) კიდევ რა თვისებები აქვს მას: არა აქვს მეგობრული გრძნობა, სამართლიანობის შეგნების უნარი, მადლიერობის გაგება, უშრომელია, ქვედა გრძნობების მონა და სხვ.

ე) საიდან სჩანს ყოველივე ეს? მონახეთ მოთხრობაში შესაფერი ადგილები.

ვ) გარეგნულის შეხედულებით რა სახის ადამიანად წარმოგიდგებათ დათიკო, გაბრო?

ზ) შეადარეთ ერთმანეთს დათიკოს და გაბროს სულიერი თვისებები. პასუხის გაცემა იოლია.

თ) ცხოვრების რა და რაგვარ პირობებშია წარმოშობილი ამ ორი ადამიანის ხასიათის სხვადასხვაობა? პასუხი: გაბრო იყო ყმა, რომელიც მუდამ შრომობდა და იძულებული იყო ბატონიც ერჩინა, მის გარშემო შრომის და მოვალეობის შესრულების ატმოსფერა იყო. ამ ნიადაგზე წარმოიშვა და განმტკიცდა გაბროს სოციალური გრძნობები, პატიოსანი სიყვარული, შრომის მოყვარეობა და სხვ. დათიკო იყო ბატონი, რომელიც სხვისი შრომით ირჩენდა თავს, ცხოვრებაში იგი არაფერ ღირებულებას არ ჭმნიდა, პირიქით, სხვის მიერ შექმნილს ფლანგავდა. ის არ სცემდა პატივს შრომას და არც მშრომელს, მის გარშემოც ასეთივე ატმოსფერა იყო. ამ ნიადაგზე შეიქნა საკუთარი თავის განდიდების გრძნობა და სხვების არად მიჩნევა; „რაკი ჩემთვის სხვები შრომობენ, მაშ მე რჩეული ვარ ადამიანთა შორის, ჩემი სისხლი სხვაა, ყმის კი სხვა“ ფიქრობს დათიკო. ამ ძირითად თვისებიდან გამომდინარეობს დათიკოს ხასიათის ელემენტები.

ასეთნაირად უნდა დახასიათებულ იქნას მოთხრობის სხვა მომქმედი პირებიც: მოძღვარი, რომელიც არსებითად გაბროსებური ტიპია, პეპია, გიტო და თამრო. მასთან გიტოს, როგორც დეკლასიური არსების შექმნა არსებულ პირობებში,

უნდა სათანადოდ იქნას ახსნილი. მართალია, დიდ შესაძლებლობას არ იძლევა იგი მუშაობის ფართედ გასაშლელად, მაგრამ შეჩერება მაინც საჭიროა.

ამ მუშაობის დასრულების შემდეგ უნდა გადავიდეთ მოთხრობის დედააზრის შეცნობაზე, ამისათვის უნდა დავსვათ შემდეგი კითხვები:

ა) როგორ გვაჩვენა ავტორმა: ბოლომდის რჩება დათიკო გაშიშვლებულ ეგოისტად? პასუხი: არა, მოთხრობის ბოლოში ვხედავთ, რომ მასში გაიღვიძა სინიდისმა, და გაბრო და პეპია გააქცია. მაშ, ადამიანობის ნაპერწკალი კიდევ ყოფილა მასში.

ბ) როდის გაიღვიძა ამ გრძნობამ? პასუხი: მაშინ, როდესაც [illegible]უკვე გვიან იყო: გაბრო და პეპია სასტიკად დაისაჯნენ, მართალია, ბოლოს ტყვეობას თავი დააბწიეს, მაგრამ მათი ცხოვრება მაინც დაღუპული იყო—ყაჩაღურად უნდა დაესრულებიათ თავიანთი დღენი.

გ) რამ შეუშალა ხელი დათიკოს კაცური სინიდისის თავის დროზე გაღვიძებას? პასუხი: იმან, რომ დათიკო ბატონი იყო და ყმის სულისკვეთება არ ესმოდა, თუმც ამ ყმას იგი ბავშობიდანვე შეეზარდა. ქონებრივმა სხვადასხვაობამ მათი საბოლოო დაახლოვება და ერთმანეთის გაგება შეუძლებელი გახადა.

დ) ამიხსენით, რამდენად შეეფერება მოთხრობის შინაარსს მისი ეპიგრაფი: რა ქნას კარგმა მონარდემა, დროში შაში თუ არ მოვა? პასუხი: გაბრომ ბატონის წინაშე მიიტანა თავისი ადამიანობა და კაცურკაცობა, ეგონა, რომ ბატონიც ასეთი თვისებებით გასცემდა თავის დროზე მას პასუხს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და მენარდე-გაბროც, დამარცხდა, დამარცხდა თითონ დათიკოც ამაშიც თავის დროზე არ გაიღვიძა ადამიანობამ.

ე) რა აზრი გადმოშალა მხატვრულად ამ მოთხრობაში ილია ჭავჭავაძემ? პასუხი: მან დაგვისურათა ბატონსა და ყმის შუა არსებული სხვადასხვაობა, შეთანხმებით და მეგობრულად ცხოვრების შეუძლებლობა.

ვ) ვის, რომელ წოდებას ედება ბრალი ამ შეუთანხმებლობაში? პასუხი: ბატონს, რომელიც გლეხის პიროვნებას აფასებს იმდენად, რამდენად გლეხი მას ემსახურება და ემონება, ხოლო თუ გლეხმა თავისი მოითხოვა, მაშინ ბატონი სასტიკად ებრძვის მას. რა უნდა ითქვას ისეთ ბატონებზე, რომლებიც თავის ყმებზე დაშორებულნი იზრდებიან, როდესაც დათიკომ ძმასავით თან შეზრდილი გაბრო არ დაინდო.

ამ მუშაობის დასრულების შემდეგ მოთხრობა ხელახლა უნდა იქნეს წაკითხული, რათა ანალიზის პროცესში დაჭუცმაცებული პირველად წაკითხვის დროს მიღებული მთლიანი შთაბეჭდილება, ხელახლა გამრთელდეს. მეორეთ წაკითხვის დროს ადგილი აქვს უფრო მეტის შეგნებით მოთხრობის ათვისებას და მისი შინაგანი აღნაგობის გათვალისწინებას.

მაგრამ ამ მოთხრობაზე მუშაობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა: ახლა უნდა შევისწავლოთ მოთხრობა ენისა და ფორმის მხრივაც. შემდეგ წერილში ჩვენ

ვეცდებით ამ სახის მუშაობის მიზნების გამორკვევას და ბოლოს მუშაობის მეთოდზედაც მიუთითებთ. აქ კი აუცილებლათ საჭიროთ მიმაჩნია შევნიშნო შემდეგი: ამ გარჩევიდან აშკარად სჩანს, რომ ტიპთა დახასიათების დროს სოციალურ ბაზასაც—ბატონყმობასაც შევეხეთ; ეს შეხება, ჩვენის აზრით, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ მოთხრობის სოციოლოგიური მხარე და, მაშასადამე, საბოგადოებათმეცნიერული ხასიათის მუშაობას აქ მეტი ადგილი არ უნდა ჰქონდეს. უნდა ვიცოდეთ, რომ ხელოვნური სურათი ათასჯერ უფრო დამარწმუნებული და ცოცხალი შთაბეჭდილების შემქნელია, ვინემ მეცნიერული საუბარი. ბატონ-ყმობის სიმკაცრის დასახასიათებლად ჭონქაძის პატარა მოთხრობას—„სურამის ციხეს“ უფრო მეტი გაუკეთებია, ვინემ იმ პუბლიცისტურ წერილებს და მეცნიერულ წიგნებს, რაიც ამ საკითხზე დაწერილა.

დ. ყიფშიძე.

საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში.

VI. ისტორიზმი და თანადროულობა საზოგადოებათმეცნიერებაში*).

ცნება „საზოგადოებათმეცნიერების“ განმარტებისას ჩვენ მივიღეთ, რომ ეს ახალი სასკოლო საგანი თავისებურათაა დალაგებული, რათა მოწაფეებს მეცნიერული (მარქსისტული) სოფლმხედველობა შეუმუშავდეს. მაგრამ რომელია ის მასალა, რომელზედაც შეიძლება აიგოს ეს სოფლხედველობა? უკეთ—ეს მასალა ისტორიიდან უნდა ამოვიღოთ, თუ თანადროულობიდან? საკითხი მეტს ნიშნავს, ვინემ გვგონია ერთის შეხედვით. დასაწყისი მასალის ამოღებაზე რო იყოს საქმე, შეიძლება სადაო არაფერი გვქონდეს.—ცხადია, გამოსავალი წერტილი ახალში (თანადროულობაში) უნდა იყოს, ვინემ ძველში (ისტორიაში). მდგომარეობის გამართლება, როგორც პედოლოგიურად, ისე პედაგოგიურადაც შეიძლება: ნაცნობიდან დაწყება. ამაზე შეიძლება ბურჟუაზიული პედაგოგებიც დავიყოლიოთ. თვით ახალი სკოლაც (სკოლა, მისი მიზანი, ხომ მის (სკოლის) ყოველგვარ მუშაობას და მიდგომას განსაზღვრავს?) ბეჯითად მოითხოვს ამას: მოქალაქე—წინააღმდეგ ძველი სკოლისა—უპირველეს ყოვლისა უნდა იცნობდეს, რაც მის გარშემოა. ყოველივეს რო თავი დავანებოთ, ჩვენი „ფსიქოლოგიური და პოლიტიკური იმპულსები ამას მოითხოვს: „ახალი ძველის მაგიერ“.

მაშ—საიდან დავიწყოთ?—ამაში არ ვდავობთ. დაწყება გულისხმობს განვითარებას და აქ არის მთავარი საკითხი: სანამდე წავა ეს განვითარება: იგი თანადროულობაში მოთავსდება, თუ შეიძლება ვიდოდეს, ვიდრე ისტორიის ფარგლები აღწევს? უფრო მოკლეთაც შეიძლება საკითხის გამოკვეთა: რა ადგილს

*) იხ. „განათლების მუშაკი“ №№ 1, 2.

იჭერს, ან—უნდა იჭერდეს ძველი (ისტორია) და ახალი (თანადროულობა) საზოგადოებათმეცნიერებაში?

სანამ საკითხს პირდაპირ შევეხებოდეთ, გავითვალისწინოთ—რა უნდა გვესმოდეს თანადროულობაში?

ცნობილმა მარქსისტმა ისტორიკოსმა პოკროვსკიმ (რუსეთის განათლების კომისრის მოადგილე და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა). ა/წ. ივლისში კოჯორში საზ.-მეცნიერების მასწავლებელთა კურსებზე მოხსენება გააკეთა*) და სხვათა შორის—სთქვა: „თანადროულობა მე და თქვენ ვართ“-ო. რასაკვირველია, შეიძლება ასეც მივუდგეთ ამ საკითხს. მაშინ გუშინდელი დღეც ისტორიას ეკუთვნის. მაგრამ ხომ ერთნაირი არ არის ისტორიის ყველა მომენტების გავლენა ჩვენზე? ისტორიას ეკუთვნის პარიზის კომუნაც, ისტორიას ეკუთვნის ოქტომბრის რევოლუციაც. განა ერთნაირია ორივეს გავლენა ჩვენზე?—ცხადია, არა! და როცა ისმის საკითხი თანდროულობასა და ისტორიაზე—მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ აქ პირობით დაშვებასთან გვაქვს საქმე.

თანადროულობას შეიძლება ქონდეს სხვადასხვა განზომილება, როგორც ქრონოლოგიურად, ისე გეოგრაფიულად. „ქრონოლოგიურად თანადროულობის ქვეშ უნდა გვესმოდეს შემთხვევები და ჰირ-ვარამი დღევანდელი დღის, ე. წ. „მიმდინარე მომენტი“; აქ შევა მიმდინარე დახასიათებანი შინაურ ეკონომიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საერთაშორისო მდგომარეობის, რომლებსაც ჩვენ ვკითხულობთ ყოველდღიურად პრესაში, ან გვესმის კრებებზე. ამ თვალსაზრისით საზოგადოებრივი ცხოვრება და სოციალ-პოლიტიკური კონიუნქტურა ხასიათდება დიდი ცვალებადობით: საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა, მაგ. სამხედრო კომუნიზმის ეპოქა, რომელიც 6—7 წლის წინედ იყო, უკვე წარსულშია გადასული .. თვით ოქტომბრის რევოლუცია და მასში ლენინის როლი უნდა განხილულ იქნეს არა როგორც თანადროულობა, არამედ როგორც ისტორიულ წარსულის მოვლენები“ (კატაევი, დასახ. წიგნი, 81).

რომ ავიღოთ ოქტომბრის რევოლუცია, დავინახავთ, რომ იგი მთლიანად განსაზღვრავს ყოველგვარ მოქმედებას და ამიტომ „თანდროულობაში უნდა იქნეს გაგებული არა მარტო მიმდინარე მომენტი, არამედ მთელი ეპოქა, რომლის ძირითადი მომენტები სრულიად განსაზღვრავენ, როგორც მიმდინარე სინამდვილის პირობებს, ისე აწმყოს და მომავლის პერსპექტივას“ (იქვე).

ვ. ნ. შულგინი ასეთ განმარტებას იძლევა (თანადროულობის გეოგრაფიული განმარტება): „თანდროულობა არის იმპერიალიზმი +(მივუმატოთ) ს. ს. რ. კ.“ რასაკვირველია, იმპერიალიზმი მას ესმის, როგორც „უახლოესი ეტაპი კაპიტალიზმისა“ (ლენინი).

*) მოხსენება შეეხებოდა საზ.-მეცნიერების პრობლემებს, საერთოდ და, განსაკუთრებით, იმ საკითხს, რომელზედაც იწერება ეს წერილი; დროულია ეს მოხსენება განათლების კომისარიატმა გამოაქვეყნოს ან ჟურნალში, ან ცალკე.

მაშასადამე ამ ცნების (თანდროულობა) განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი და ინდივიდუალური პირობები საზოგადოებრივი ცხოვრებისა და „ჩვენთვის, საბჭოთა მოქალაქეთათვის, თანდროულობა იქნება ოქტომბრის რევოლუციის მიერ ნაკარნახევი ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, რომლებიც კომუნისტურ წყობილებისთვის ბრძოლის გასწვრივ თანდათან იცვლება“.

ახლა უკვე შეგვიძლია შევეხოთ საკითხს: გასცილდება, თუ არა საზოგადოებათმეცნიერების მასალა თანდროულობის ფარგლებს?—პროფ. ს. პ. სინგალევიჩის («Обществоведение в трудовой школе», Москва; «Работник просвещения», 1924) აზრით: „ვინაიდგან თანამედროვე სკოლის წინაშე სდგას დიდი საზოგადოებრივ-პოლატიკური და რევოლუციონურ-პედაგოგიური ამოცანები, სოციალ-ისტორიული განათლების ცენტრი ისტორიაში კი არ უნდა იყოს, არამედ თანადროულობაში“.

მ. ნ. კოვალენსკი (წერილში: „Современность и обществоведение“—წერილი მოთავსებულია ასეთსავე სათაურის კრებულში, გამოც. 1923 წ. „Новая Москва“-ს მიერ) ასე უდგება საკითხს: რადგანაც ჩვენს სკოლაში განსაზღვრულია დრო, რომელიც საზოგადოებათმეცნიერებას აქვს დათმობილი, ყოვლად შეუძლებელია საზ.მეცნიერების კურსში ერთნაირი ადგილი დაიკავოს, როგორც ისტორიამ (კულტურის ისტორიამ), ისე თანდროულობამ. თუ ჩვენ ორივეს მოთავსებას ვეცდებით საზ.-მეცნიერების კურსში, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით უარვყოთ სკოლაში მუშაობის აქტიური მეთოდები, იძულებული ვიქნებით დავუბრუნდეთ მშრალ, ლექციურ სისტემას, გაკვეთილების, თუ ლექციების დაზეპირების სისტემას. მაშასადამე, აუცილებელია რაღაც დავთმოთ და, ცხადია, ამ შემთხვევაში კენჭი კულტურის ისტორიას შეხვდება. კოვალენსკი იძლევა რჩევას, რომ უარყოფილი იქნეს სისტემატიური კურსი ისტორიის, რომელსაც შესცვლის განსაკუთრებული თემები და, ამგვარად, მიექცევა ყურადღება დასამუშავებელ მასალის რომელობას (качество) და არა რაოდენობას.

უნდა ითქვას, რომ კოვალენსკი არ უარყოფს თანადროულობაში გენეტიურ მიდგომას, იგი კიდეც მოითხოვს თანადროულობის შესწავლას მის საფუძვლებში, მაგრამ, ცხადია, უკან მიხედვის დროს ახალი ისტორია უფრო ყურადღებას მიიქცევს და ავტორის მიერ წამოყენებულ თემებში გამოტოვებული იქნება აღმოსავლეთი, ძველი საბერძნეთი, რომის იმპერია, საშუალო საუკუნოები, რეფორმაცია, ჰუმანიზმი, კიევის რუსეთი, არეულობის ხანა («Смутное время») და სხვ...

რას ამბობს პოკროვსკი ამ საკითხის შესახებ?

— ავიღოთ, მაგალითად, პროლეტარული დღესასწაული—ოქტომბრის რევოლუცია. „ბავშების მარქსისტულად აღსაზრდელად საჭიროა არა ის, თუ როგორ აიღო **გარეგნულად** პროლეტარიატმა ძალა-უფლება ხელში, არამედ ვაჩვე-

ნოთ რევოლუცია, როგორც ისტორიულ პროგრესის ძირითადი კვანძი, ე. ი. სოციალისტური რევოლუცია უნდა დავაყენოთ იმ ადგილზე, რომელიც უკავია მას მარქს-ლენინით. უამისოდ არავითარი მისი იდეოლოგიური გავლენა არ იქნება. ისტორიის დიალექტიკის კალენდარულ ცნობებათ დაქუცმაცება—ეს მარქსიზმის ყველაზე უფრო დამახინჯება იქნება („На путях к новой школе", 1926 წ. № 11—„К преподаванию обществоведения в наших школах, გვ. 43) ...„ჩვენ არ ძალგვიძს თვალსაჩინოება მეცნიერულობას (научность) დავუკავშიროთ. ახალი პროგრამები გამოდის იქიდან, რაც ბავშებს „გარს არტყია". ნუ დავიწყებთ დავას, რამდენად რეალურია ეს „გარს შემორტყმა". გაჰკირვებით თუ შეიძლება ითქვას, რომ სამაზრო ალმასკომი უშუალოდ გარს არტყია მოზარდთ, რომ უკანასკნელნი ყოველივე ამას „თავიანთი თვალით ხედავენ". საქმე იმაშია, რომ ჩვენმა ბავშებმა არ იციან—საიდან წარმოიშვა ეს დაწესებულებები და, ცხადია, არ შეუძლია წარმოდგენა, ყოველივე ამას საით მივყევართ. მათ არ აქვთ, როგორც ბუშმენებს და ჰოტენტოტებს, არც წარსული, არც მომავალი, აქვთ—მხოლოდ აწმყო... და ამ არაისტორიულობაში, უკეთ—ანტიისტორიულობაში არის ჩვენი პროგრამების ყველაზე უფრო დიდი ცოდვა მარქსიზმისა და ლენინიზმის წინაშე. რადგან „მარქსიზმი ითხოვს უსათუოდ ბრძოლის ფორმების შესახებ საკითხის **ისტორიულად** განხილვას; უამისოდ—ჩვენი მოქმედება დიალექტიურ მატერიალიზმის ანბანის გაუგებლობის მომასწავებელი იქნება" (ლენინი. იქვე, 44).

ავიღოთ სახელმწიფო ბანკი. „იგი მით არის შესანიშნავი, რომ წარმოადგენს შედეგს 1917 წელს ბანკების ნაციონალიზაციისა; სწორედ ის თავის წარმოშობით და ამოცანებით განირჩევა სხვა ბანკებისგან, თორემ ბუხჰალტერია ამ ბანკშიაც ისეთია, როგორიც ბურჟუაზიულ ბანკში. და თუ ჩვენ ბავშებს ვაჩვენებთ მხოლოდ ამ ბუხჰალტერიას, ისინი ვერაფერს გაიგებენ იმ საზოგადოებრივ წყობილებისას, რომელშიდაც მას მოუხდება ცხოვრება. უდიალექტიკოდ არ შეიძლება არავითარი მარქსისტული საზოგადოებათმეცნიერება. „ინტერნაციონალი"-ს შღერა და ოქტომბრის რევოლუციის გარეგნულად შესწავლა—ეს, როგორც ჩვენს, ისე ბურჟუაზიულ პედაგოგიკაში არის ნაკლები წინააღმდეგობის გზა". (იქვე, 45).

პოკროვსკის ასეთი გაგება ჩვენ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს საზ.-მეცნიერების კურსში ისტორია მთელი მოცულობით უნდა შევიდეს. მისი ფიქრით, ისტორია ჩვენ გამოგვადგება „კაპიტალის პირველნდელ დაგროვებიდან", ან სხვანაირად—კაპიტალისტურ მეურნეობის წარმოშობა-განვითარებიდან (მე 15—16 საუკუნე).

სხვაფრივ უდგება საკითხს ა. ე. კუდრიავცევი («Очередные вопросы методики обществоведения на II ступени», Госиздат, 1926). ავტორი საკითხს

მეთოდიურად იხილავს და იქამდის მიდის, რომ საზ.-მეცნიერებაში ორივე ნაწილს თანასწორი ადგილი უნდა ეკავოსო*).

ჩვენ უკვე განვიხილეთ მნიშვნელოვანი ავტორების შეხედულებანი სადავო საკითხზე. ჩვენის ფიქრით, ეს საკითხი ახლა ძალზე პრინციპიალური აღარ უნდა იყოს საზ.მეცნიერების კურსის ჩამოყალიბებაში. უნდა მოვიგონოთ, რომ საკითხის სადავოდ გადაქცევა იმან გამოიწვია, რომ პირველ ხანებში საზ.მეცნიერებაში ისტორია თითქმის, სრულიად გაინდევნა და თავის დროზე პოკროვსკის ლოზუნგი: „უკან ისტორიისკენ“ დროული იყო უთუოდ. ატეხილი დავა საკითხზე შეიძლება იმდენად იყოს შესანიშნავი, რომ იგი მოგვაგონებს და აგრეთვე მოგვიწოდებს ძველი ნაკლის გამოსწორებისთვის. შევდეგ: აღნიშნულ დავის დროს უმეტესი რიცხვი ავტორებისა იმ აზრის არიან, რომ საზ.მეცნიერების კომპლექსში ისტორიასა და თანდროულობას ერთნაირი ადგილი უნდა ეკავოს. ესეც ვერ უნდა იყოს საკითხის სწორად დაყენება და აი, რატომ: ყველაზე უფრო დამცველი ამ აზრის კუდრიავცევია. ის კოვალენსკის პრინციპიულ საკითხებში ეთანხმება და ამბობს: „მას არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა თავისი შეხედულებანი“-ო. კოვალენსკის თემების მაგიერ კუდრიავცევს კულტურის ისტორიის თემატიური კურსი შემოაქვს საზოგადოებათმეცნიერებაში და როცა თავის თეორიულ შეხედულების (ერთნაირი რაოდენობა ისტ. და თანდრ.) განაღდებას შეუდგება (საზ. ბეცნ. პროგრამის შედგენა) გადახრა მაინც ისტორიისაკენ რჩება.

პოკროვსკის ზემოთმოყვანილ მაგალითებიდან შეიძლება იქნეს დასკვნილი, რომ ისტორია იმდენად არის გამოსადეგი, რამდენადაც თანდროულობაში არსებული საკითხის მარქსისტულად დამუშავებაა საჭირო**). წერილის თავში ვამბობდით, რომ გამოსავალი წერტილი საზ.მეცნიერებაში თანდროულობიდან უნდა იყოს აღებული. და ცხადია, თანდროულობაში არსებული საკითხები, რომლითაც იღება საზმეცნიერების კარები, ერთნაირად არ საჭიროებს გაღრმავებას ისტორიის შინაარსით და ფონზე. ამიტომ წინასწარ აღებული ფორმულა: „ნახევარი ერთი, ნახევარი მეორე“ მიზანშეუწონელი უნდა იყოს. რა რომ გათვალისწინებულია საზ. მეცნიერების საკითხები, მხოლოდ მაშინ შეიძლება ნაწილების პროპორციულობაზე ლაპარაკი, თორემ განა ოქტომბრის რევოლუციის და სახელმწიფო ბანკის საკითხების დამუშავების გასწვრივ შეიძლება ლაპარაკი ამდენი ისტორია, ამდენი თანდროულობა (თანასწორობა ელემენტებს შორის)?

გვგონია, სადავო საკითხის სწორად დასმა ამ სიბრტყეზე შეიძლება მხოლოდ.

---

*) არის ისეთი შეხედულებაც, რომ მარქსის ტრიადაში ისტორია თეზაა, თანდროულობა —ანტითეზა და, მაშასადამე, ისინი თანასწორ უფლებიან ნაწილად შევლენ საზოგადოებათმეცნიერებაში-ო.

**) თვით პოკროვსკის სხვა დასკვნა გამოჰყავს.

ბ. კოტრიძე

რეაქცია, როგორც ყოფა-ქცევის ძირითადი მექანიზმი

პედაგოგიკა არის მეცნიერება აღზრდის შესახებ. ბლონსკი აღზრდის პროცესს განსაზღვრავს როგორც წინასწარ მოფიქრებულს, ორგანიზაციულს და ხანგრძლივ ზემოქმედებას ორგანიზმის განვითარებაზე. აქედან ცხადი, რომ ყოველი პედაგოგი უნდა იცნობდეს იმ ძირითად კანონებს, რომლებსაც ექვემდებარება ორგანიზმის განვითარება.

ყოველი ორგანიზმის და მათ შორის ადამიანის ყოფა-ქცევის ძირითად ელემენტს რეაქცია წარმოადგენს. მიუნსტერბეგის აზრით ჩვენი რეაქციების განვითარება წარმოადგენს მთელი ჩვენი ცხოვრების ისტორიას. და მართლაც ორგანიზმის განვითარება, მისი შეგუება გარემოსთან ხდება შესაფერი რეაქციების გამომუშავებით. ყოველგვარ ჩვენს მოქმედებას წინ უსწრებს გაღიზიანება, რომელსაც ჩვენ მიზეზს ვეძახით. რეაქცია წარმოადგენს ორგანიზმის საპასუხო მოქმედებას, რომელიც გამოწვეულია გარეგან ან შინაგან გაღიზიანებისგან. რეაქცია უნდა გავიგოთ, როგორც ერთგვარი ურთიერთობა ორგანიზმსა და მის გარემომცველ წრეს შორის. ყოველი ორგანიზმი იმყოფება ერთგვარ დამოკიდებულებაში გარემოსთან. რეაქცია ორგანიზმის პასუხია გარემოს ცვლილებაზე, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ ორგანიული ცხოვრების განვითარების ძლიერ დაბალ საფეხურზე.

ყოველ რეაქციას ახასიათებს სამი ძირითადი ელემენტი: პირველი — ათვისება ორგანიზმის მიერ ამა თუ იმ გაღიზიანების, მეორე — გაღიზიანების გადამუშავება ორგანიზმის შინაგან პროცესებში და მესამე — ორგანიზმის საპასუხო მოქმედება. აღნიშნული სამი მომენტის გარეშე რეაქცია არ არსებობს. მაგრამ ყველა მოქმედებაში ჩამოთვლილი სამი მომენტი არ არის რელეფურად გამომჟღავნებული. ხშირად გაღიზიანებას იწვევს ორგანიზმის შინაგანი პროცესები, როგორც მაგალითად: სისხლის მიმოქცევა, ჯირყვლების სეკრეცია და სხვ. ასეთ შემთხვევებში გაღიზიანების გამომწვევ მიზეზს ვერ ვამჩნევთ, თუმცა ის აუცილებლად არსებობს ორგანიზმის შინაგან პროცესების სახით. ყველაზე უფრო გარკვევით რეაქციის სამ მომენტს ჩვენ ვხედავთ მარტივ რეაქციებში. ადამიანის ყოფაქცევის უფრო რთულ ფორმებში აღნიშნული სამი მომენტი არ არის თვალსაჩინო და საჭიროა რთული ანალიზის მოხდენა მის გამოსააშკარავებლად.

იმ ცხოვრებაში, რომელთაც ნერვიული სისტემა გააჩნიათ, რეაქცია რეფლექსის ფორმას ღებულობს. რეფლექსი ორგანიზმის ისეთი აქტია, რომელიც გამოწვეულია ნერვიული სისტემის გაღიზიანებისგან.

ყველა ცხოველს და მათ შორის ადამიანსაც ორგვარი რეაქცია აქვს: თანდაყოლილი და პირადი ცხოვრების პროცესში შეძენილი. თანდაყოლილი რეაქ-

ცია გადადის შთამომავლობაზე და ორგანიზმის მთელი ცხოვრების მანძილზე თითქმის არავითარ ცვლილებას არ განიცდის. მაგ: ცხვირის დაცემინება, დახველება, შიშის ემოცია და სხვ. გარდა თანდაყოლილ რეაქციებისა ადამიანს აქვს შეძენილი რეაქციები. თანდაყოლილ და შეძენილ რეაქციებს შუა არსებობს ძირითადი განსხვავება: პირველი, როგორც ვსთქვით, უცვლელია, არ მოითხოვს გავარჯიშებას; მეორე სხვადასხვა გვარია და ცვალებადობას განიცდის ისტორიულ, გეოგრაფიულ, კლასიურ და ინდივიდუალურ პირობების მიხედვით.

შთამომავლობითი რეაქციების წარმოშობის საკითხი მეტად რთულ მეცნიერულ პრობლემას წარმოადგენს და ძნელია ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის მიცემა. დარვინის თეორიაში მოცემულია მხოლოდ ზოგადი პრინციპები მათი წარმოშობის შესახებ. არსებობისათვის ბრძოლაში, რომელიც ევოლუციის მამოძრავებელ ძირითად მექანიზმს წარმოადგენს, ჩაბმულია ყველა ორგანიზმი. ეს ბრძოლა მათ უყენებს ასეთ დილემას: ან გარემოსთან შეგუება, ან დაღუპვა. ბრძოლის პროცესში გარემოსთან უფრო კარგად შეგუებული ორგანიზმი იმარჯვებს, დანარჩენები კი იღუპებიან. არსებობისათვის ბრძოლა ბუნებაში შეუჩერებელ პროცესს წარმოადგენს, რომლის დროსაც გადარჩენილი ორგანიზმები თანდათან ანვითარებენ იმ ორგანოებს და ყოფაქცევის ფორმებს, რომლებიც საჭირო და სასარგებლოა გარემოსთან შესაგუებლად. ამ უკანასკნელ დროს სხვადასხვა ჯიშების წარმოშობის საკითხს უფრო მეტი ნათელი მოჰფინა მუტაციის თეორიამ. ამ თეორიის უმთავრესი აზრი იმაში მდგომარეობს რომ ახალი ჯიშების წარმოშობა ხდება არა მარტო ევოლუციის გზით, არამედ ნახტომების საშუალებით.

რეფლექსების და ინსტიქტების წარმოშობაც შეიძლება აიხსნას ევოლუციის და მუტაციის თეორიის პრინციპებით. ამრიგად ინსტიქტები და რეფლექსები, ანუ ყოფაქცევის თანდაყოლილი ფორმები წარმოადგენს შეგუების ბიოლოგიურ ერთ ერთ სახეს. აქედან. ცხადია, ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია ის აზრი, რომ ბავშვი თითქოს წარმოადგენს ისეთ თეთრ დაფას, რომელზედაც აღმზრდელს შეეძლოს ყველაფრის დაწერა.

არა შთამომავლობითი რეაქციების წარმოშობის საკითხი დიდ ხანს სიბნელით იყო მოცული. ამ უკანასკნელ დროს ამ საკითხს ნათელი მოჰფინა აკ. პავლოვმა. პავლოვი არჩევს ორგვარ რეფლექსებს: უთუოს და პირობითს.

რას წარმოადგენს უთუო რეფლექსი? როცა ცხვირში რაიმე მოჰყვება ცხვირს დაგვაცემინებს; მძინარეს რომ ხელზე რამემ გვიკბინოს, ხელს გამოვსწევთ; საჭმელის პირში ჩადების დროს პირი ნერწყვით გვევსება და სხვ. ყველა ესენი უთუო რეფლექსებია და წარმოადგენს ორგანიზმის თანდაყოლილ თვისებას. მაგრამ ნერწყვი მოგვდის არა მარტო მაშინ, როცა პირში ვიდებთ საჭმელს, არამედ მაშინაც, როცა მას ვხედავთ.

ფსიქოლოგები ფიქრობდენ: ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ, როცა ცხოველი საჭმელს ხედავს, სცნობს მას და ებადება მისი ჭამის სურვილი. მაგრამ აკ. პავლოვმა ცდის საშუალებით დაამტკიცა, რომ ეს არ შეეფერება სიმართლეს. პავლოვის ცდა მდგომარეობს შემდეგში: ძაღლს უდებენ პირში ხორცს. ასეთი გაღიზიანების საპასუხოდ ძაღლს ევსება პირი ნერწყვით განსაზღვრული რაოდენობით და თვისებით. ეს უთუო რეფლექსია. თუ ხორცის მიცემასთან ერთად ან რამდენიმე წამის შემდეგ ჩვენ ავანთებთ ოთახში, მაგალითად, მწვანე ფერის სინათლეს და ასეთ ცდას განვიმეორებთ რამდენჯერმე, დავინახავთ, რომ საკმარისია ოთახში ავანთოთ მხოლოდ მწვანე ფერის სინათლე და ძაღლს პირი გაევსება ნერწყვით ისეთივე შემადგენლობით და რაოდენობით, როგორც ეს ხდებოდა ხორცის მიცემის დროს. ამ ახალ, მწვანე სინათლის გაღიზიანებით, წარმოშობილ რეფლექსს პავლოვი პირობით რეფლექსებს უწოდებს, რადგან ის შექმნილია განსაზღვრულ პირობებში. პირობითი რეფლექსი განსხვავდება უთუო რეფლექსიდგან მით, რომ პირველი წარმოშობილია ინდივიდუალურ ცდის პროცესში, ის პირობითია, ცვალებადობას განიცდის და შეიძლება კიდეც გაჰქრეს, თუ ის არ გამაგრდა უთუო რეფლექსის საფუძველზე.

როგორც ვხედავთ პირობითი რეფლექსი ხასიათდება შეძენილი რეაქციის ყველა თვისებებით. აღსანიშვავია ისიც, რომ პირობით რეფლექსის ანუ შეძენილი რეაქციის საფუძველს უთუო რეფლექსი წარმოადგენს და ის იქმნება გარემომცველ წრის სტრუქტურის ზეგავლენით.

ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე იძენს უამრავ პირობით რეფლექსებს. ჩვენი ცოდნა და ყოველგვარი ჩვევანი, ჩვენი ცხოვრების პროცესში შეძენილი პირობითი რეფლექსებია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ პირობითი რეფლექსების საფუძველზე შესაძლებელია ახალი რეფლექსების შექმნა, რომელსაც მეორე ხარისხის რეფლექსებს უწოდებენ. მეორე ხარისხის რეფლექსებისა შექმნაც იმავე წესით ხდება, როგორც პირველის. ამრიგად ახალი რეფლექსების წარმოშობას საზღვარი არა აქვს და ის იქმნება ყოველ ახალ პირობებში.

ზემოდ თქმულიდან ნათლად სჩანს, რომ ბიოლოგიური ფაქტორი წარმოადგენს იმ ბაზას, იმ საფუძველს, რომელზედაც იქნება შეძენილი რეაქციების სისტემა. აგრეთვე მისაღებია მხედველობაში ის გარემოება, რომ პირობით რეფლექსების წარმოშობა განისაზღვრება იმ გარემოს სტრუქტურით, სადაც იზრდება და ვითარდება ორგანიზმი. აქედან ცხადია, რომ ყოველგვარი აღზრდის პროცესი სოციალური ხასიათის მატარებელია.

ყველა ზემოდ აღნიშნულ გარემოებიდან გამომდინარეობს მეტად საჭირო და აუცილებელი პედაგოგიური დასკვნები. პირველი: აღზრდის პროცესი ახალი რეაქციების გამომუშავებას გულისხმობს. აქედან ცხადია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ რეაქციის სამ მომენტს: ათვისებს, ათვისების გა-

დამუშავებას და საპასუხო მოქმედებას. ყოველგვარი ცოდნა გატარებულ უნდა იქნას მოწაფის პირადი ცდის პროცესში.

მეორე: აღზრდა უნდა ეყრდნობოდეს მოწაფის ინიციატივას, მის აქტივობას, რადგან ახალი რეაქციების გამომუშავება ხდება ორგანიზმის საკუთარი ცდის საშუალებით. მოწაფის პირადი ცდა უნდა გახდეს პედაგოგიური მუშაობის ბაზად.

მესამე: როგორც ვსთქვით პირობითი რეფლექსების წარმოშობას განსაზღვრავს გარემომცველი წრის ხასიათი, რომელშიაც იზრდება მოწაფე; აქედან ცხადია, რომ მასწავლებელი უნდა წარმოადგენდეს ამ სოციალური წრის ორგანიზატორს და რეგულიატორს, სადაც უნდა მოხდეს აღზრდის პროცესი.

მეოთხე: სწავლა-აღზრდის მიზანი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მოწაფეს გამოუმუშავდეს სოციალურად სასარგებლო რეაქციები ანუ პირობითი რეფლექსები, რომ მან აქტიური მონაწილეობა მაიღოს სოციალურ ცხოვრებაში და ახალი საზოგადოების შექმნის საქმეში.

ვლ. ზამბახიძე.

ფ რ ე ი დ ი ზ მ ი

(მოკლე მიმოხილვა)

რედაქციისაგან.

ფრეიდიზმს, როგორც ყოველ ახალ მოძღვრებას, ბევრი მომხრე ჰყავს და უფრო მეტი მოწინააღმდეგე, როგორც უცხოეთში, ისე რუსეთშიაც. თუმცა ფრეიდის მთავარი დებულებები ფრიად სადავოა და არ არის მეცნიერულად საკმაოდ შემოწმებული, მაგრამ საკითხი იმდენად საინტერესოა თავისთავად, რომ საჭიროდ ვსცანით გავაცნოთ ის ჩვენ მკითხველებს.

ფრეიდის თანახმად ადამიანის ფსიქიკა განაყოფება სამ სფეროდ: ცნობიერი, წინაცნობიერი და არაცნობიერი. ეს სამი სისტემა იმყოფება მუდმივ ურთიერთობაში, ხოლო კერძოდ ცნობიერსა და არა ცნობიერს შორის ბრძოლაც სწარმოებს და ადამიანის საქციელი ფრეიდის თანახმად, წარმოადგენს შედეგს ამ ორ ძალთა შორის არსებულ ანტაგონიზმისა. ცნობიერის შესახებ ჩვენ გვაქვს წარმოდგენა, მაგრამ როგორია ფსიქოანალიტური კონცეპცია არაცნობიერისა და რის შემცველ ფენომენად უნდა წარმოვიდგინოთ ის? არა ცნობიერის კონცეპციამ დიდი ევოლუცია განიცადა თვით ფრეიდის ხელში და მის განვითარების ისტორიას სამ პერიოდად ჰყოფენ.

პირველ ხანებში არაცნობიერი ფრეიდს ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც განზრახ დავიწყებულ განცდათა კომპლექსი.

დიამეტრულად საწინააღმდეგოა არაცნობიერის კონცეპცია განვითარების მეორე პერიოდში. თუ პირველ ხანებში არაცნობიერი შემთხვევითი მოვლენა იყო ადამიანის ფსიქიკაში და თუ ფსიქიური აპარატი ფრეიდს წარმოდგენილი ჰქონდა სტატიურ რამედ, სამაგიეროდ, მეორე პერიოდში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, და არა ცნობიერი აღიარებულ იქნა აუცილებელ და მეტად საჭირო ელემენტად სულიერ სამყაროისა. პარალელურად ამისა ფსიქოანალიტიკებმა აღიარეს ფსიქიურ აპარატის დინამიურობა და ბრძოლა არაცნობიერსა და ცნობიერს შორის მიჩნეულ იქნა სულიერ ცხოვრების გარდაუვალ ფორმად.

მაგრამ როგორ და საიდან ჩნდება არაცნობიერი, მეორე პერიოდის კოცეპციის თანახმად? არაცნობიერის შექმნის პროცესს ფრეიდი უწოდებს „განდევნას“ (вытеснение).

რით ხასიათდება ეს ე. წ. „განდევნა“?

ფსიქოანალიზის სწავლებით არსებობს ორი პრინციპი: 1) სიამოვნების და 2) რეალობის. და ადამიანიც ზრდის პროცესში, ემორჩილება ხან ერთს და ხან მეორე პრინციპს.

სიამოვნების პრინციპის პრიმატთან გვაქვს ჩვენ საქმე ადამიანის სიცოცხლის გარიჟრაჟზე, როდესაც მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს აღკრძალულსა და ნებადართულს შორის არსებულ განსხვავების შესახებ. ცხოვრების პირველ საფეხურზე არ არსებობს სირცხვილი, შიში, ამორალური სურვილები; ერთის სიტყვით ბავში იმყოფება სიამოვნების პრინციპის სრულს განკარგულებაში. მაგრამ ბავში იზრდება და პარალელურად სიამოვნების პრინციპისა მის ფსიქიკაში ჩნდება რეალობის პრინციპი. ცხოვრების განსაზღვრულ საფეხურზე ადამიანი ხვდება, რომ ყოველ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ან არ არის შესაძლებელი და ან არ არის სასურველი, რადგან ყოველი სურვილის დაკმაყოფილებას შეიძლება მოჰყვეს ცუდი შედეგი. „ხიფათის“ თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ პერსპექტივის მქონე სურვილები განდევნილ იქნეს იმ თავითვე და ამ ოპერაციის შემსრულებელია სწორედ რეალობის პრინციპი.

როგორც კი მოიმაგრებს ძირს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში აღნიშნული ორი პრინციპი, იწყება ე. წ. ფსიქიური შერჩევა და მხოლოდ იმ განცდებს ეძლევა უფლება ფსიქიურის უმაღლეს სისტემაში ცნობიერში, შესვლის, რომელიც მისაღები იქნება როგორც სიამოვნების, ისე რეალობის პრინციპის თვალსაზრისით. თუ კი რომელიმე განცდა ვერ „დაიჭერს გამოცდას“ წარმოებულს დასახელებულ ორი პრინციპის თვალსაზრისით, მაშინ ის განიდევნება არაცნობიერის სფეროში.

განდევნის პროცესი წმინდა მექანიკურია და განაგებს მას განსაკუთრებული ფსიქიური ძალა, რომელსაც ფრეიდი ეძახის „ცენზურას“.

გამოირკვა რომ, არაცნობიერი იგივე განდევნილი განცდებია. მაგრამ როგორია შინაარსი ამ არაცნობიერის?

არაცნობიერის მთავარი შემადგენელი ნაწილია ე. წ. ოიდიპოსის კომპლექსი და ის, რაც ამ უკანასკნელთან არის დაკავშირებული.

სანამ ოიდიპოსის კომპლექსის ანალიზს შეუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ ის მომენტები, რომლებთანაც ის იმყოფება გენეტიურ კავშირში. ამისათვის საჭიროა პატარა ექსკურსის მოხდენა ფრეიდის ლტოლვათა თეორიაში.

იმ მიზნების მიხედვით, რომელთაც ისინი ემსახურებიან, ლტოლვანი განიყოფებიან ორ ჯგუფად:

1) სექსუალური ლტოლვანი, რომელთა მიზანს შეადგენს გვარის გაგრძელება, თუნდაც ამისათვის საჭირო იყოს ინდივიდუუმის მსხვერპლად მიტანა;

2) პირადი ლტოლვანი, რომელთა დანიშნულებაა, ინდივიდუუმის თვითდაცვის საქმეს ემსახურონ; (შემდეგ ამ კლასიფიკაციაში გადაჯგუფება მოხდა, რის შესახებაც შემდეგ მოგახსენებთ).

ჩვენ უნდა შევჩერდეთ პირველ ჯგუფზე, რადგან ყველაზე ძლიერად ის ჰკვებავს არაცნობიერს.

ფრეიდის თანახმად ადამიანის სქესობრივი ცხოვრება იწყება დაბადების მომენტიდან და „დაუშვებელ შეცდომად უნდა ჩაითვალოს აზრი, თითქო სექსუალობა, მომწიფებულ გენიტალიებთან ერთად, თავს იჩენდეს სქესობრივ მომწიფების მომენტთან დაკავშირებით“, (ფრეიდი), რადგან ე. წ. სქესობრივი „მომწიფება“ მხოლოდ ერთი ეტაპთაგანია სექსუალობის განვითარებაში.

ვინაიდან ბავშობის პირველ ხანაში, გენიტალი ვერ არის მისთვის კუთვნილ ფუნქციის შემსრულებელი, ამიტომ ის მხოლოდ ერთ-ერთი ეროგენული ზონაა, (ე. ი. სხეულის ისეთი ნაწილი, რომელიც შეიძლება სექსუალურად აღგზნებულ იქნეს) და მას კონკურენტად ევლინება პირი, კანი და სხვა ნაწილები ადამიანის სხეულისა. ბავში ახდენს კვების, ძუძუს წოვის, დეფეკაციის და სხვა პროცესების სექსუალიზაციას და რადგან მას, ცხოვრების პირველ საფეხურზე არ გააჩნია სქესობრივ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ობიექტი, ამიტომ ის თავის სხეულზევე იკმაყოფილებს მას. ბავშის ამ თვისებას ფრეიდი უწოდებს ავტოეროტიულობას.

ბავშურ ეროტიკის დასახელებული თავისებურებანი ისეთ უნივერსალურად გახრწნილ არსებად წარმოგვიდგენს მას, რომ, ყმაწვილი ერთდაიმავე დროს შეიძლება იყვეს სადისტიც, მაზოხისტიც, ღომოსექსუალისტიც და ინცესტუოზურ (სისხლის შერევის) სურვილების მატარებელიც. ბავშურ libido-ს ნიადაგზე წარმოშობილი სქესობრივი სურვილები შემდეგ საფეხურზე განიდევნება არაცნობიერში, სადაც ისინი არ ჰკარგავენ თავის ძალას და განაგრძობენ არსებობას.

თუ ბავში იმგვარად ჯახრწნილია, მის ფსიქიკაში არაცნობიერის ბატონობის ხანაში როგორც ეს ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, რამ უნდა შეუშალოს მას ხელი, რომ ეროტიულ ლტოლვის პირველ ობიექტად დედა გაიხადოს?

ფსიქოანალიტიკების სიტყვით, ბავშის დედისადმი დამოკიდებულება იმთავითვე სექსუალურ ხასიათისაა, ასე რომ არც ერთი აქტი ძუძუს წოვის, მოფერების, დაბანის და სხვ. არ არის მოკლებული ამ ხასიათს.

ბავში ცდილობს რაც შეიძლება ხშირად და ხანგრძლივად რჩებოდეს დედის საწოლში, მამა კი ეწინააღმდეგება შვილის ამ სურვილს, რაც ამ უკანასკნელში ბადებს მამისადმი სიძულვილს. დედისადმი სექსუალური ლტოლვა და მამისადმი სიძულვილი ის ორი ელემენტია, რომელთაგან ბოლოს შესდგება ოიდიპოსის კომპლექსი. განდევნილ კომპლექსთა შორის, არაცნობიერის ყველაზე სერიოზულ ნაწილად ოიდიპოსის კომპლექსი ითვლება.

რეალობის პრინციპის წარმოშობასთან ერთად იწყება ბრძოლა ოიდიპოსის კომპლექსთან და ინცესტის (სისხლის შერევის) გრძნობა განიდევნება არაცნობიერში.

განდევნილ ლტოლვათა ადგილს იჭერს შიში და სირცხვილი, რომელთაც იწვევს უბრალო აზრი სქესობრივ ლტოლვის შესაძლებლობისა დედის მიმართ.

ოიდიპოსის კომპლექს ფრეიდის აზრით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის, რადგან „ის რჩება ბავშის სულიერ ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად, და უფრო მოსალოდნელია სათანადოდ ვერ შეაფასო მისი მნიშვნელობა, ვინემ გადააჭარბო მის ღირებულებაში". (ფრეიდი).

ამ კომპლექსთან დაკავშირებული პირველი სიყვარული (დედისადმი) და სიძულვილი (მამისადმი) სამუდამოდ რჩება ადამიანში. სიცოცხლის შემდეგ საფეხურებზე, სხვების მიმართ—რასაკვირველია არაცნობიერად—ისევ იღვიძებს ოიდიპოსის კომპლექსი, და ადამიანსაც ახალ სუბიექტზე გადააქვს, ეს, დედმამის მისამართით წარმოშობლი გრძნობა. ამ აქტს ეწოდება გადატანის მექანიზმი, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანი არაცნობიერად ახდენს განდევნილ ლტოლვათა გადაჯგუფებას თავის პირდაპირ ობიექტიდან არა პირდაპირზე. (ამას მნიშვნელობა აქვს ფსიქოტერაპევტიულ პრაქტიკაში, როდესაც, მაგ. მამისადმი სიძულვილი ფსიქოანალიტიკურ სეანსის დროს პაციენტს გადააქვს მკურნალზე და ამით ნაწილობრივ აღწევენ მიზანს). როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, არაცნობიერის სისტემის მთავარ ელემენტს შეადგენს ოიდიპოსის კომპლექსი და მასთან დაკავშირებული მოვლენანი. მაგრამ არ უნდა დავიიწყოთ, რომ პიროვნების კულტურულ ზრდის პარალელურად, ე. ი. მასში რეალობის პრინციპის თანდათან გაბატონების პარალელურად, იზრდება განდევნილ განცდა—გრძნობების რაოდენობაც; ასე რომ, მხოლოდ ოიდიპოსის კომპლექსის ხარჯზე არ რჩება არაცნობიერი. აქედან კი ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არაცნობიერის არსენალს შეადგენს ყველაფერი ის, რასაც ორგანიზმი ჩაიდენდა იმ შემთხვევაში, თუ კი იხელმძღვანელებდა მხოლოდ სიამოვნების პრინციპით და ლაგამ ამოუდებელი დარჩებოდა რეალობის პრინციპისა და კულტურის მიერ.

(დასასრული იქნება).

დოკ—ხანი

სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქართველი სტუდენტობა

ჩვენი უნივერსიტეტი დიდ კულტურულ ძალას წარმოადგენს; ჩვენი ქვეყანა უნივერსიტეტის საჭიროებას ჯერ კიდევ 60-70 წლებში გრძნობდა, მაგრამ მეფის მთავრობა მას ჩვენთვის არ იმეტებდა; დროებითი მთავრობაც წინააღმდეგი იყო ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა. მტრულად მთავრობა უნივერსიტეტს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა; მ შინ ის ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული. მხოლოდ საქართველოს გასაბჭოებიდან გაიმაგრა ჩერხემალი უნივერსიტეტმა; ის საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების საგანი შეიქნა; უკანასკნელ წლებში ის გამაგრდა, ამაღლდა, ფართო მასას დაუკავშირდა — მეცნიერება ცხოვრებასთან და ჩვენი ქვეყნის საჭიროებასთან უშუალო კავშირი გააბა. ტფილისის უნივერსიტეტი დაუახლოვდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებს და მათ შორის საპატიო ადგილი დაიჭირა. მის გარშემო შემოკრებილ მეცნიერ ძალთა მეოხებით და იქ წარმოებულ მეცნიერულ მოღვაწეთა საშუალებით ქართული უნივერსიტეტი ცნობილია ევროპის კულტურულ ქვეყნების ჭაღარა უნივერსიტეტებს შორისაც კი.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს და გვაფიქრებს. ჩვენ ვლაპარაკობთ სტუდენტობაზე. როგორც ვთქვით, ხელისუფლება უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ არაფერს ზოგავს, მეცნიერული ძალებით იგი მდიდარია, სასწავლო სქემა ფართო და ყოველმხრივია, ლაბორატორიები, წიგნთსაცავები და სხვა სამუშაო საშუალებანი მდიდარია. მიუხედავად ამისა, სტუდენტობის დიდი ნაწილი საჭირო სიმაღლეზე არა სდგას, ის უნივერსიტეტის მუშაობაში სავსებით ჩაბმული არ არის და არ სარგებლობს, ან ვერ სარგებლობს, იმ საუნჯით, რომელსაც მას უმაღლესი სასწავლებელი აწვდის.

ძველად სტუდენტი საპატიო სახელწოდება იყო, ის ყველასათვის თითით საჩვენებელი იყო იმიტომ, რომ მათგან დიდი უმრავლესობა მომზადებით თანამედროვე საზოგადოებაზე მაღლა იდგა, საზოგადო საქმისათვის თავდადებული და თავგანწირული იყო, ახალგაზრდობის მასწავლებელი და გზის მაჩვენებელი იყო. მოწინავე იდეებით გატაცებულნი მრავალი მათგანი რევოლუციონურ ბრძოლაში იყო ჩაბმული და უკეთესი მომავლისათვის იბრძოდა.

მართალია, დღესაც მოიძებნებიან ჩვენს სტუდენტებს შორის ისეთნი, რომელნიც პოლიტიკური და საზოგადოებრივი მუშაობით არიან დაინტერესებულნი, არიან ისეთნიც, რომელნიც მეცნიერულ მუშაობაში ჩაბმულან და კვლევა-ძიებასაც აწარმოებენ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამგვარნი თითით საჩვენებელნი არიან, მაშინ, როდესაც ჩვენი უნივერსიტეტი 5—6 ათასს ახალგაზრდას იტევს. მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენი უმაღლესი სასწავლებელის ახალგაზრდობა

ცოდნის დაბალ დონეზე დგას, ის დაკნინებულია, საზოგადოებაში ის საკმაო პრესტიჟით არ სარგებლობს, მუშათა კლასი მას ერთგვარი უიმედობითაც უყურებს.

რომ მეცნიერების ტაძარის პატივსა და სახელს შორის ერთი მხრით, და მის მსმენელთა უმრავლესობის გონებრივ ავლადიდებას შორის მეორეს მხრით, დიდი დისონანსი და შეუფერებლობაა, ეს მტკიცდება იმ სურათით, რომელსაც უნივერსიტეტში ყოველთვის აქვს ადგილი. საშინელი ღრიალი და ხმაურობაა არა მარტო დერეფნებში, არამედ ლექციებზეც კი: ყოფილა შემთხვევა, როდესაც ლექტორი ვედრებით მიმართავდა მსმენელებს მიეცათ მისთვის ლექციის დასრულების საშუალება; ხშირი ჩხუბი, ხულიგნობა, განსაკუთრებით საღამოობით, ეზოსა და შენობაში. ზედმიწევნით შემაძრწუნებელი და დამაფიქრებელია ამ რამდენიმე დღის წინედ მომხდარი შემთხვევა: დერეფანში დანებით შეიარაღებულმა რამდენიმე სტუდენტმა ხელთ ჩაიგდეს ერთ-ერთი ამხანაგი და დასჭრეს. გადმოგვცემენ, რომ სტუდენტები ხშირად საბრძოლველი დანებით არიან შეიარაღებულნი. ჭეშმარიტად სამწუხარო სურათია! წიგნების ნაცვლად ბებუთები... ცხადია, ქვეყანა და მუშათა კლასი აქედან დიდ სანუკვარსა და სასიხარულოს ვერაფერს უნდა მოელოდეს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია თითქოს უკანასკნელად მომხდარ შემთხვევას დაუფიქრებია და აღნიშნული მოვლენების მოსასპობად ზომები მიუღია: რამდენიმე სტუდენტი უნივერსიტეტიდან გაუშორიცხავს. მაგრამ არა გვგონია ასეთმა პალიატიურმა ზომამ რაიმე ნაყოფი გამოიღოს, რადგან ჩვენი სტუდენტობის დაქვეითების მიზეზები უფრო ღრმა და ფართოა, და ათი კაცის გამორიცხვა—ათასის გამოსასწორებლად არ გამოდგება.

სტუდენტობის დიდი ნაწილის დაბალი მდგომარეობის მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ ჩვენ საშუალო სკოლაში. საშუალო სკოლის განახლება ჩვენში საქართველოს გასაბჭოებიდან დაიწყო. ეს იყო ახალი სკოლის ძებნა; სკოლამ რამდენჯერმე შეიცვალა თვისი სახე 5—6 წლის განმავლობაში. რეორგანიზაციის ხანგრძლივმა პროცესმა სკოლის ნორმალურ მსვლელობაზე თავისი გავლენა მოახდინა, რაც უარყოფითად დაეტყო მოსწავლე-ახალგაზრდობასაც. საშუალო სკოლის ქსელის ზედმიწევნითმა და უეცარმა გაფართოებამ, კვალიფიციური და სათანადოდ მომზადებულ მასწავლებელთა კადრის უყოლობამ, სასწავლებლების სათანადოდ მოუწყობლობამ, პირველი წლების ეკონომიურმა კრიზისმა, ხელი შეუწყო მოსწავლე ახალგაზრდობის ცოდნის დონის დაცემას. საშუალო სასწავლებელს ათავებდენ სრულიად მოუმზადებელნი არა მარტო პრაქტიკული ცხოვრებისათვის, არამედ უმაღლესი ცოდნის შესაძენადაც. ასეთი ახალგაზრდობა, რომელსაც არც საკმაო ცოდნა ჰქონდა და გონების დისციპლინაც აკლდა, მიაწყდა უნივერსიტეტს და არ არის საკვირველი, თუ მათ და უმაღლეს მეცნიერებას შორის საერთო არაფერი აღმოჩნდა; უნივერსიტეტი მათთვის თავშესაფარად გამოდგა და არა მეცნიერების ტაძრად. გარდა ამისა, უნივერსიტეტს თავი შეაფარა ნა-

წილობრივ აგრეთვე ისეთმა ახალგაზრდობამ, რომელიც გადაშენებისა და გადაგვარების გზაზე დამდგარ წრეებიდანაა გამოსული, საბჭოთა აღმშენებლობას ალმაცერად უცქერის და მისდამი მტრულადაა განწყობილი. ესენი არიან კუდაბზიკა ახნაურთა, კულაკების, ვაჭრების და სხვა ანტისაბჭოთა წრიდან გამოსულნი ახალგაზრდები, რომელნიც თავისი წრის მზგავსად, ამორალურ ელემენტებს წარმოადგენენ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში განათლების კომისარიატი გამოცდების საშუალებით ცდილობს შეარჩიოს ღირსეული ახალგაზრდობა უნივერსიტეტისათვის. შერჩევა მართლაც საუკეთესო საშუალებაა მსმენელთა კადრის გასაუმჯობესებლად, თუ ეს შერჩევა პირნათლად და კეთილსინდისიერად სწარმოებს. გამოცდები არ არის შერჩევის უებარი საშუალება, და, გარდა ამისა, სამწუხაროდ, პროტექციასა და სხვა საშუალებებს თურმე არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტში შესასვლელად. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ გავლენებს მომავალში ადგილი არ უნდა ექნეს. გარდა ამისა საჭიროა სტუდენტთა ორგანიზაციებმა აწარმოონ სისტემატიური წმენდა პერიოდულად მსმენელებისა, რათა ულირსნი და შეუფერებელნი განიდევნონ იქიდან. ჩვენ სრულიადაც არ შევსცქერით უიმედოთ ჩვენს ახალგაზრდობას. ის რაც ზევით დავასახელეთ, დროული და წარმავალია, გამოწვეული აღნიშნული მიზეზებით. ჩვენი უნივერსიტეტი თანდათან ივსება ისეთი ახალგაზრდებით, რომელნიც მუშებისა და ღარიბი გლეხობის წრიდან არიან გამოსულნი; მათი სახელმძღვანელო პრინციპია შრომა, ცოდნა, საზოგადოებრივი კეთილდღეობა.

გარდა ამისა, ჩვენ უკვე დიდ იმედებს ვამყარებთ ახლო მომავალში საშუალო სასწავლებლიდან გამოსულ ახალგაზრდობაზე. საშუალო სკოლის რეორგანიზაცია დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. უკვე მალე მივიღებთ ისეთ ახალგაზრდობას, რომელიც ახალი სკოლის შვილია, შრომის პრინციპებზე აღზრდილი; ისინი მომზადებულნი იქნებიან პრაქტიკული ცხოვრებისათვისაც-კი. შრომის სკოლა უნივერსიტეტისთვისაც ღირსეულ მსმენელებს მოგვცემს.

Ც. გ. მესამე პლენუმის რეზოლუციები

ჩვენს კავშირში უმუშევრობის შესახებ.

1. Ც. გ. პლენუმი აღნიშნავს რა ჩვენს კავშირში უკანასკნელი წლების განმავლობაში უმუშევრობის სწრაფ ზრდას, აუცილებლად მიაჩნია მაქსიმალური ყურადღება მიექცეს უმუშევრების დახმარებასა და მათთვის სამსახურის გაწევას.

2. უმუშევართა დახმარების გასაძლიერებლად პლენუმს აუცილებლად მიაჩნია გატარებულ იქნეს ცხოვრებაში ჩ/კავშირის მე-6-ე ყრილობის დადგენილება. უმუშევართა ფონდში წევრებზე ½% ანარიცხების შემოღება კავშირის ყველა ორგანიზაციებში და 5 %-ს გადარიცხვა საწევრო ანარიცხების მთელი თანხიდან რესპუბლიკის მასშტაბით.

3. პლენუმი, იღებს რა მხედველობაში, რომ უმუშევართა ფონდის ანარიცხებიდან შეგროვილი თანხა არ არის საკმაო უმუშევართა დახმარებისათვის, ადგენს: იშუამდგომლოს კავშირის ც. კ. წინაშე, რომ საქართველოს ც. გ. მისცეს დოტაციის სახით 2.000 მან. ყოველთვიურად.

4. პლენუმი ავალებს ც. გ. საორგანიზაციო განყოფილებას, რომ მან უახლოეს დროში გამოიმუშაოს სრული ინსტრუქცია უმუშევართა დახმარებისა და სამსახურის გაწევის შესახებ და დაუგზავნოს კავშირის ყველა განყოფილებას.

მასწავლებლობის უფლებრივ მდგომარეობის შესახებ

მოისმინა რა ამხ. გეგეჭკორის მოხსენება მასწავლებლობის უფლებრივ მდგომარეობის შესახებ, განათლების მუშაკთა კავშირის ც. გამგეობის პლენუმი აღნიშნავს, რომ:

1. პარტია და ხელისუფლება, აძლევდა რა ჯეროვან შეფასებას სახალხო მასწავლებლის მნიშვნელობას ჩვენი მომავალი ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში, მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მისი უფლებრივ მდგომარეობისადმი, რისთვისაც არა ერთხელ ყოფილა მოცემული დირექტივა, მასწავლებელთა უფლებრივ ინტერესებისადმი სათანადო ყურადღებით და სიფრთხილით მოპყრობის შესახებ;

2. მიუხედავად დიდი გაუმჯობესებისა, რომელიც უკვე შეტანილია ამ საქმეში, მაინც სავსებით ვერ არის ამოფხვრილი მასწავლებელთა უფლებრივ ინტერესების შელახვის ცალკე შემთხვევები;

3. ადგილი აქვს შრომის კანონთა დარღვევის შემთხვევებს, რასაც მოსდევს სასამართლოს პროცესები: უკანასკნელთა შედეგად უფლებათა დამრღვევთ ეკისრებათ საგრძნობ თანხების გადახდა აღმასრულებელ ფურცლებით დაზარალებულთა კანონიერ პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად;

4. მასწავლებლობის უფლებრივ ინტერესების შელახვის წინააღმდეგ ბრძოლაში კავშირის ორგანოები ზოგიერთ შემთხვევაში უაღრეს სისუსტეს იჩენენ და აგრეთვე ფორმალურად ეპყრობიან საქმეს;

5. უფლებრივ ინტერესების შელახვის მთავარ მომენტებს წარმოადგენენ: ხშირი გადაყვან-გადმოყვანა საჭიროების გარეშე, ქსელის რეორგანიზაცია და ამით გამოწვეული შემცირება სასწავლო წლის დაწყების შემდეგ, მასწავლებელთა ფორმალური გამოცდა, ქსელის რეორგანიზაციის გატარება განათლების განყოფილებათა მიერ კავშირის ორგანოებთან შეუთანხმებლად, დათხოვნა დაუსაბუთებლად, პირადი მოტივებით, სოფლის „ბობოლების“ გაიძულრობით, მიზეზების გამოურკვეველად, წელთა დამსახურებით პენსიის მქონეთა დათხოვნა, როგორც ასეთების, ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოთა ტეხნიკურ მუშაობის სავალდებულოდ შექმნა, შრომის კანონთა დარღვევა და სხვა.

აღნიშნული უფლებათა დარღვევანი თავისთავად არ იძლევიან საბაბს მისათვის, რადგანაც ისინი ცალკე შემთხვევებს წარმოადგენენ და აგრეთვე იმიტომ, რომ მშრომელთა უფლებრივ ინტერესებისათვის არსებობს კანონმდებლობა და ადგილი აქვს ამ საკითხისადმი განსაკუთრებით კეთილ განწყობილებას პარტიის და ხელისუფლების მხრივ; მაგრამ სისუსტე, რომელსაც იჩენენ კავშირის ორგანოები მასწავლებელთა უფლებრივ ინტერესების დაცვის საქმეში, საჭიროდ ხდის მთელ კავშირის მხრივ ამ საკითხისადმი ყურადღების გაძლიერებას.

ამ დეფექტების თავიდან ასაცილებლად და მასწავლებელთათვის ხელის შესაწყობად, როგორც მომავალ ახალგაზრდა თაობათა აღზრდისათვის, აგრეთვე საბჭოთა საზოგადოებრივობის ამშენებლის და ორგანიზატორის როლის შესრულებისათვის, პლენუმს საჭიროდ მიაჩნია:

1. სასტიკი ბრძოლა მასწავლებლობის უფლებრივ ინტერესების დამრღვევთა წინააღმდეგ: ა) ამ საკითხისადმი კავშირის ქვედა ორგანოების (ადგილკომის, შემფას. საკ. კომისიის მუშათა ნაწილის) მხრივ ყურადღების გაძლიერებით იმ ზომამდე, რომ მოისპოს კავშირის წევრთათვის საჭიროება თავის უფლებრივ ინტერესების დასაცავად უშუალოდ სამაზრო და ც. გ.-ში მომართვისა; ბ) უფლებრივ შელახვის დამახასიათებელ შემთხვევათა განხილვა გამგეობის სხდომებზე, როგორც დირექტივების მისაღებათ, აგრეთვე ინფორმაციის მისაცემად მიღებულ ღონისძიებათა შედეგების შესახებ.

2. უაღრესი ყურადღება მიექცეს განათლების კომისარიატისა და მისი ორგანოების მოხსენებათა მოსმენის დროს, როგორც გამგეობის სხდომებზე,

აგრეთვე მასიურ კრებებზე მასწავლებლობის უფლებრივ მდგომარეობის საკითხების გაშუქებას.

3. გამოყენებულ იქნას უფლებათა დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის პერიოდული გამოცემანი, უმთავრესად კავშირის ც. გამგეობის ორგანო.

4. დაევალოს ადგილებს დაუყონებლივ შეასრულონ ც. გ. შეკითხვები მასწავლებელთა უფლებრივ მდგომარეობის საკითხებზე, რისთვისაც მიცემულ უნდა იქნეს ამომწურავი ცნობები საკითხის მოსაგვარებლად მიღებული ღონისძიებათა და უფლებრივ ინტერესების დაცვის დამაბრკოლებელ მიზეზების შესახებ.

5. სასტიკი ყურადღება მიექცეს კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულებას, განსაკუთრებით უფლებრივ ნაწილში და საჭირო შემთხვევაში პასუხისგებაში იქნას მიცემული უფლებათა დამრღვევნი სასამართლოს წესით.

6. უფლებათა სისტემატიურად დარღვევის შემთხვევებში მასალები გადაეცეს მ/გ. ინსპექციას.

კულტმუშაკის შესახებ

განათლების მუშაკნი, განსაკუთრებით სოფლად, უმთავრეს კულტურულ ძალას წარმოადგენენ; მათ მინდობილი აქვთ მასისა და მოზარდ თაობის აღზრდა მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლთა მომზადების მიზნით. აქედან გამომდინარეობს კულტმუშაობის ძირითადი ამოცანა: განათლების მუშაკთა მასის კომუნისტური აღზრდის და გადამზადებისათვის ყოველგვარი ხელის შეწყობა.

სოფლად კულტმუშაობის დასაყრდნობი ცენტრები, კულტკომისიები და განათლების მუშაკთა კუთხეებია. ისინი სოფლად კულტმუშაობის გამტარებელნი არიან და ამის გამო კულტკომისიებში საუკეთესო მუშაკების შერჩევასა და განათლების მუშაკთა კუთხეების გახსნას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ძირითად კულტმუშაობის მთავარი მომენტები, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობენ, შემდეგია:

1) განათლების მუშაკთა მასის პოლიტპროფესიონალური და საწარმოო ხასიათის გადამზადება, უმთავრესად სათვითგანვითარებო მუშაობის ფართოდ გამოყენებით;

2) ომის საშიშროებასთან დაკავშირებით—მოსახლეობის მიერ სამხედრო საქმის შესწავლისათვის ხელის შეწყობა. ამ მიზნით სამხედრო კუთხეების, სამხედრო ცოდნის წრეებისა და ქვეყნის თავდ. საზ.—ავიაქიმის ორგანიზაცია, წითელ არმიელთა საშეფო ნაწილებში მუშაობის გაძლიერება, ტირისა და სხვა ასეთების მოწყობა. ყველა ეს ერთად სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საკითხია.

აი რატომ უნდა იყოს გაძლიერებული პროფორგანიზაციის ყურადღება ძირითად კულტმუშაობისადმი.

ადგილკომებისა და მათი კულტკომისიების მუშაობის გამოკვლევამ შემდეგი დეფექტები გამოამჟღავნა: 1) კულტკომისიების მუშაკთა შეუფერებელი

შერჩევა და სისტემატიურ გეგმიანობის გარეშე მუშაობა; 2) ადგილკომების მხრივ კულტკომისიების მუშაობაზე სათანადო ხელმძღვანელობის უქონლობა; 3) კულტკომისიის წევრების მიერ თავის მუშაობის ძირითად მომენტებზე ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა, აგის გამო პასიობა და გაურკვეველობა მათ მუშაობაში.

ადგილკომებთან არსებულ კულტკომისიების მუშაობის გამოცოცხლების მიზნით აუცილებელია შემდეგი ღონისძიებათა გატარება:

საორგანიზაციო საკითხები.

1. ადგილკომი ვალდებულია უხელმძღვანელოს კულტკომისიის მუშაობას: განიხილოს და დაამტკიცოს კულტკომისიის გეგმები და ხარჯთაღრიცხვა, ადგილკომის სხდომებზე ყოველთვიურად უნდა იქნეს მოსმენილი კულტკომისიის სიტყვიერი მოხსენება თავის მუშაობის შესახებ და სხვა.

2. აუცილებელია კულტკომისიები შევსებულ იქნენ უფრო მომზადებულ, ავტორიტეტულ და ენერგიულ მუშაკებით, რომლებსაც შეეძლებათ მათზე დაკისრებულ ამოცანათა განხორციელება.

3. მუშაობა თანაბრად უნდა იქნეს განაწილებული კულტკომისიების ყველა წევრებს შორის.

მუშაობის შინაარსი.

4. კულტკომისიებმა უნდა შეადგინონ თავის მუშაობის კონკრეტული გეგმა. გეგმის შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კოლექტივის მოთხოვნილებანი და სახელმწიფოს მორიგი ამოცანები (ქვეყნის თავდაცვა და სხვა).

5. პროფპროპაგანდის მიზნით დისპუტების, მოხსენებების, კითხვის, საუბრების, მოკლევადიან მიზნობრივი კურსებისა და პროფცოდნის სკოლების მოწყობა სხვა კავშირებთან ერთად და სხვა.

6. ადგილკომებმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ განათლების მუშაკთა შორის სათვითგანვითარებო მუშაობის მოწყობას. ამ მიზნით კულტკომისიის წევრებიდან მათ უნდა გამოყონ ცალკე მუშაკნი, რომლებიც თვითგანვითარებაზე მომუშავეთ გააცნობენ იმ ღონისძიებათა სისტემას, რომელსაც კავშირი იმუშავებს მათ დასახმარებლად (იხ. საინსტრუქციო წერილი სათვითგანვითარებო მუშაობის საორგანიზაციო ფორმებისა და მეთოდების შესახებ).

7. სათვითგანვითარებო მუშაობის საუკეთესო გამტარი—ბეჭდვითი სიტყვაა. ყოველი განათლების მუშაკი, რომელიც სათვითგანვითარებო მუშაობას ეწევა, უნდა იწერდეს „განათლების მუშაკს“ (ჩ/კავშირის ც. გ. და ც. კ. გამოცემებს), „ნაროდნი უჩიტელს“, რომლებსაც სათვითგანვითარებო მუშაობის შესახებ ცალკე განყოფილებები აქვთ. გარდა ამისა, ეს ჟურნალები აუცილებელია პოლიტპროფესიონალური და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აგრეთვე აუცილებელია ხელი შეუწყოთ კედლის გაზეთის გამოცემასა ტ განათლების მუშაკთა პროფორგანიზაციის პრესაში საკორესპონდენტო მუშაობაში ჩაბმას.

8. საკავშირო მუშაობის ძირითადი ფაქტორია მოძრავ ბიბლიოთეკების ფართოდ გამოყენება. ამ მიზნით კულტკომისიამ თავის შემადგენლობიდან უნდა გამოყოს ცალკე პირი კავშირის მოძრავ ბაზასთან კავშირის გასაბმელად. კულტკომისიამ უნდა მოაგვაროს მოძრავ ბიბლიოთეკებიდან სისტემატიურად წიგნების გაცემა და აწარმოოს მკითხველთა აღრიცხვა. ამასთან ერთად კულტკომისიამ ბიბლიოთეკას უნდა მიაწოდოს ცნობები მკითხველთა მოთხოვნილებების და მოძრავ ბიბლიოთეკების ნაკლის შესახებ, რომ შემჩნეული დეფექტები გამოსწორებულ იქნას.

9. კულტკომისიებმა ყოველნაირად ხელი უნდა შეუწყონ წ.-კ. უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეს. კულტკომისიებმა თვალყური უნდა ადევნონ წ.-კ. უცოდინართა და მცირე მცოდნეთა აღრიცხვას, სალიკვიდაციო პუნქტების მოწყობასა და მათში მეცადინეობას.

10. საექსკურსიო მუშაობა კულტმუშაობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. კულტკომისიამ უნდა მოაწყოს ადგილობრივი და შორეული ექსკურსიები. ამხანაგებს დროულად უნდა მიაწოდოს ცნობები ექსკურსიების მარშრუტებისა და პირობების შესახებ.

11. ფიზკულტურის იდეა ჯერ-ჯერობით განათლების მუშაკთა შორის საკმაო პოპულიარობით ვერ სარგებლობს. ამის გამო აუცილებელია ამ დარგში ფართო სააგიტაციო მუშაობის ჩატარება. აუცილებელია გატარდეს ფიზკულტურის ისეთი სახეები, რომლებიც ყველაზე უფრო მისაღებია განათლების მუშაკთათვის და მათი პროფმავნებლობის წინააღმდეგაა მიმართული.

12. ადგილებზე კულტმუშაობის დასაყრდნობ პუნქტებს წარმოადგენენ განათლების მუშაკთა კუთხეები, რომლებიც უნდა მოეწყოს თემის ცენტრში, სკოლებთან ან ცალკე ბინაზე, თუ ეს შესაძლებელია. ბინის უქონლობის შემთხვევების დროს ის შეიძლება მოთავსებული იქნეს ქოხ სამკითხველოებში, საკავშირთშორისო კლუბში ან თემის სხვა კულტურულ ორგანიზაციასთან. ადგილკომებმა ყოველგვარი ზომები უნდა იხმარონ, რომ განათლების განყოფილებამ განათლების მუშაკთა კუთხეებს ცალკე ბინა გამოუძებნოს. (დაწვრილებით კუთხეების მუშაობის შესახებ იხ. კუთხეების დებულებაში).

13. ომიანობის საშიშროებასთან დაკავშირებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის მიერ სამხედრო ცოდნის შესწავლას: მოხსენებები ქვეყნის თავდაცვის შესახებ, სამხედრო კუთხეების, ტირისა და სამხედრო ცოდნათა წრეების მოწყობა.

14. აღვნიშნავთ რა სოფლად აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას, აუცილებელია ზოგიერთ არანორმალობათა გამოსწორება. როგორიცაა აქტივთა პარტდატვირთვა ძირითად მუშაობის საზიანოთ, საზოგადოებრივი მუშაობის სახით განათლების მუშაკთა არანორმალურად გამოყენება ტეხნიკურ სამუშაოზე და სხვა.

15. ადგილკომებმა უნდა გააძლიერონ წითელარმიელთა შორის კულტსაშეფო მუშაობა, თანახმად კულტსაშეფო მუშაობის მეთოდებისა და საორგანიზაციო ფორმების დებულებისა (იხ. დებულება კულტსაშეფო მუშაობის შესახებ).

16. ორგფონდიდან მაქსიმალური პროცენტი უნდა გადაირიცხოს კულტფონდში, რომ გატარებულ იქნეს ცხოვრებაში სრულიად საკავშირო გან. მუშაკ. მე-6-ე ყრილობის დადგენილება. კულტმუშაობისთვის მიღებული თანხები უშუალო კულტმუშაობაზე უნდა იხარჯებოდეს და შემდეგი შეფარდებით: საკლუბო მუშაობაზე და წითელ კუთხეებზე 65—70 %; საბიბლიოთეკო მუშაობაზე 15 %, წ.-კ. უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციაზე 5—10 %; ფიზკულტურაზე—10—15 % და პიონერ მოძრაობაზე—2 %. სხვა ხასიათის ხარჯები კულტფონდიდან მოხსნილი უნდა იქნეს. თუ კავშირთან სწარმოებს ცენტრალური სახის მუშაობა (ბიბლიოთეკა, ფიზკულტურა და სხვა ასეთი), ამ მიზნისთვის თანხები იხარჯება შესაფერი პროცენტული შეფარდებით.

17. მუშაობის აღრიცხვა, ხარისხობრივი და რაოდენობითი, უნდა სწარმოებდეს, თანახმად ქვემდებარე პროფორგანიზაციებზე დაგზავნილ ბარათებისა.

სამი მკითხველი

სადაც უნდა იყოს — უნდა დაადარსოთ

„ჟურნალის მეგობართა წრე".

(იხ. 13 გვ.)

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

მ. ფარცხალაძე.

კ. ბერიძე და მ. კორძახია. „მათემატიკის სამუშაო წიგნი". გამოც. სახელგამისა, 1927 წ. 312 გვ. ფასი 1 მ. 50 კაპ., ტირაჟი 15.000.

უდავოა, რომ კარგ სახელმძღვანელოს დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-აღზრდის საქმეში. საუბედუროდ ძალიან იშვიათია კარგი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, მით უმეტეს მათემატიკაში. ჩვენი ავტორები დიდ სიზარმაცეს იჩენენ წიგნის საბოლოო დამუშავებაში; ამიტომ ჩვენ წიგნებს ახასიათებს უვარგისი ენა, მიუღებელი ტერმინები და აუტანელი კორექტორული შეცდომები. ამ მხრით ყოველ მოლოდინს გადააჭარბა ბერიძისა და კორძახიას მიერ შედგენილმა სახელმძღვანელომ.

მეთოდიურის მხრით ამ წიგნში ახალი არაფერია, გარდა საკმაოდ სუსტად ჩატარებული ფუზიონიზმისა. მასალის დალაგებაც მოიკოჭლებს. 161 გვ. 48 ამოცანა თხოულობს ტრაპეციის შუახაზის თვისების ცოდნას; ეს თვისება კი განმარტებულია 217 გვ ზე.

129 გვ-ზე იმის გასაგებად, თუ რით იზომება ჩახაზული კუთხე, მოწაფეებმა უნდა იცოდენ, რომ პარალელურ ხორდებს შორის მოთავსებული რკალები თანასწორია. ეს უკანასკნელი კი ახსნილია 173 გვ-ზე და სხვა.

ბევრი მნიშვნელოვანი მასალა სრულიად გამოშვებულია. მაგალითად, არაფერია ნათქვამი შეფარდებით ნულსა და მის შერჩევაზე; გამოტოვებულია გეომეტრიული შეფარდება თავისი თვისებებით და სხვა.

ზოგი თეორემები არ მტკიცდება, იმავე დროს ადგილი აქვს აქსიომების მტკიცებას. მაგალ. მთელი 27 გვერდი უკავია ჯამის გადანაცვლების თვისების მტკიცებას. ინტერპოლობის ახსნის დროს უშენიშვნოთ მიღებულია ტრიგონომეტრიული ფუნქციები არგუმენტების პროპორციულად.

მეტად მავნებელია მათემატიკის სწავლების დროს ტერმინების არევ-დარევა. საბედნიეროდ უკვე 2 წელიწადია მიღებული და დამტკიცებულია ყველგან სახმარებლად მათემატიკის ტერმინები.

ავტორები ამ ტერმინებს იცნობენ, ამიტომ პირდაპირ გაუგებარია ტერმინების ის დომხალი, რომელსაც ადგილი აქვს ხსენებულ სახელმძღვანელოში. წიგნში ნახმარია უარყოფილი და მიღებული ტერმინები ერთ და იმავე დროს.

მაგალითად:

ურყოფილი ტერმინები:	მიღებული ტერმინები:
მონაკვეთი	ნაკვეთი
ოდრიკალი.	რკალი
სამცირი	საკლები
მამცირი	მაკლები
წყვილი	ლუწი
უწესო.	არაწესიერი

და ბევრი სხვა.

ხშირად კი ძველი და ახალი ტერმინები იხმარება დამახინჯებული სახით. 38 გვ. დიდი ასოებით სწერია სწორი ტერმინი „შემქმნელი“, 7 სტრიქონის შემდეგ კი მის მაგიერ ნახმარია ტერმინი „შემდგენელი“.

წიგნში საკმაოდ ბლომად მოიპოვება სრულიად ყალბი და შემცდარი ცნობებიც. მე-17-ე გვ. მე-9-ე ამოცანაში; „დედამიწის ღერძი არის 12.000 კილომეტრიო“, (ნამდვილად კი 12.700 კილომ.). იქვე მე-15-ე ამოცანაში ნათქვამია, რომ ტფილისი მდებარეობს ჩრდილოეთ სიგანედის 44°-ზეო. (ნამდვილად კი მდებარეობს 41° და 42° შორის). 46 გვ. ამოცანებში მოცემულია ხვედრითი წონები:

რკინისა	8,94	უნდა იყოს	7,8
ვერცხლის	13	„ „	10,5
ოუჯის	7,8	„ „	7,45

აი განმარტება ფუთვერსისა 50 გვერდზე. მე-4ე ამოცანაში სწერია: (მათი მართლწერა). ფუთი—ვერსი მუშაობას შეასრულებს რონოდა, როცა ის ერთ ფუთ ტვირთს გადაიტანს ერთ ვერსზე; ეს განმარტება მუშაობისა არსებითად შემცდარია, არამეცნიერულია.

მე მგონია უხერხულია წიგნში ასეთი ამოცანის მოყვანა. გვ. 57. ამოც. 11. (მათი მართლწერა) „14-მა გემის დამტვირთელმა მუშამ შეასრულეს 130 კილოგრამ-მეტრი მუშაობაო“. მაგრამ ანეკდოტისებურია 67 გვ-ზე მეორე ამოცანა, საიდანაც ვგებულობთ, რომ სოფლის ფართობია 0,62 ჰექტარი (დაახლოვებით ერთი დღიური).

მაგრამ არის ამ წიგნში ისეთი ადგილები, რაც შეუძლებლად ხდის ამ წიგნის ხმარებას და რომელნიც სრულიად აჭარწყლებს ამ წიგნის ყველა დადებით მხარეებს. მაგალითად: უცნაური კითხვებია 128 გვ-ზე.

1) რამდენ სწორკუთხედს შეიცავს პარალელოგრამი, ექვსკუთხედი, რვაკუთხედი და ა. შ.

2) რამდენ გრადუსს შეიცავს წესიერი ექვსკუთხედი. (უნდა იყოს: რამდენ გრადუსს შეიცავს წესიერი ექვსკუთხედის შიდა კუთხეების ჯამი).

177 გვ-ზე მე-2-ე ამოცანიდან ვტყობილობთ, რომ თურმე წრეში გაიყვანება ორი ურთიერთ პარალელური დიამეტრი. 178 გვერდზე ამგვარი მეორე სიბრძნეა: „წრის გარეთ მდებარე წერტილიდან გაყვანილი ორი შემხები ჰყოფს წრეხაზს ოთხ რკალად, რომელთა შორის შეფარდებაა

9 : 6 : 6 : 15

217 გვ-ზე ამოცანა 12 გვეუბნება, რომ სოფლის საზღვარია A, B და C წერტილები. ჩვენ კი ვასწავლით, რომ ზედაპირის საზღვარი არის ხაზი, თურმე წერტილები ყოფილა. და ბევრი ასეთი.

ენა წიგნში ბევრგან ძლიერ დამახინჯებულია; კორექტორული შეცდომები აუარებელია. პირდაპირ გაუგებარია, როგორ შეიძლება ასეთი სახელმძღვანელო მიეცეს ხელში მოწაფეს, რომელშიაც კურსივით შემდეგი სწერია სიტყვა სიტყვით (გვ. 116 § 61): „სწორკუთხიანი საიკუთხედები თამასწორა, თუ ენთი მათგანის ჰიპატენუზა და მახვილი კუთხე მეორე სამკუთხედის ჰიპატენუზისა მახვილ კუთხეს ეთანასწორება". პითაგორის თეორემა ასე არის დამახინჯებული (გვ. 204). „სწორკუთხიანი სამკუთხედის ჰიპატენუზაზე აგებული კვადრატი, ამავე სამკუთხედის კატეტებზე აგებული კვადრატების ჯამს ეთანასწორება". არც გასაკვირია მათგან კვადრატების შეკრება, როცა ისინი აწარმოებენ სამკუთხედების შეკრება-გამოკლებას. მაგ. გვ. 182 △ BCK=△ BCD—△ BKD. 78 გვ. დამახინჯებულია ბოილ მარიოტის კანონი:

„ჰაერის მოცულობა რომელიც განიცდის განსაზღვრულ წნევას, ამ წნევის უკუპროპორციულია. და მრავალი სხვა.

ნახაზები უვარგისია.

185 ნახაზზე წრეში ჩახაზული უნდა იყოს წესიერი ხუთკუთხედი, ჩახაზულია კი არაწესიერი ექვსკუთხედი.

ზემოდ მოხსენებულით სრულიად არ ამოიწურება ამ წიგნის დეფექტები.

საუბედუროდ, წიგნი ცირკულიარით სავალდებულოდაა გამოცხადებული VI და VII ჯგ. სახმარებლად. ვინ დართო წიგნს ნება? ვინ გაავრცელა ის? წიგნის ხმარება უნდა აიკრძალოს და დამნაშავეთ პასუხი მოეთხოვოთ.

ავტორებისაგან.

უდავოა, რომ სახელმძღვანელოს მიუდგომელი განხილვა-შეფასება დიდ დახმარებას გაუწევს, როგორც ავტორებს, ისე იმ პირთ, ვისაც ამ სახელმძღვანელოთი სარგებლობა უხდება. მაგრამ ტენდენციურად, ცალმხრივად და გადამლაშებულ რომელიმე ნაშრომის შეფასებას ყოველი ღირებულება ეკარგება.

ლაპარაკი გვაქვს აქვე მოთავსებულ მოქ მ. ფარცხალაძის ბიბლიოგრაფიაზე. მან ასეთივე ბიბლიოგრაფია გაზ. „კომუნისტის" მე-262 ნომერში მოათავსა. იქ ის შეეცადა ჩვენი წიგნის დაწუნებას მეთოდიური ხაზით და წამოა-

ყენა მისი აზრით ურყევი **მეთოდიური შენიშვნები.** ალბად, მიხვდა მოქ. ფარცხალაძე (ან ვინმემ დააჯერა), რომ **ამ დებულებათა გამართლება** ნიშნავდა **მათემატიკის სწავლების ახალი პრინციპების უარყოფას** და ეს დებულებანი **მთლიანად უკან წაიღო,** მას აღარ იმეორებს.

უპირველესად ყოვლისა წიგნი მეთოდიური თვალსაზრისით უნდა ფასდებოდეს, ხოლო მოქ. ფარცხალაძის მეთოდიური ხასიათის „კრიტიკიდან" დარჩა მხოლოდ მშრალი დარცხვენილი განცხადება: „წიგნში ახალი არაფერია, გარდა საკმაოდ სუსტად ჩატარებული „ფუზიონიზმისა". დამტკიცება და საბუთი არსად არის!

ამის შემდეგ იწყება შემთხვევითი ხასიათის შეცდომების ამოწერა და მხოლოდ ამ შეცდომების მიხედვით აკეთებს ის თავის ბრძნულ დასკვნას. ჩვენ წიგნის წინასიტყვაობაში ვთხოვდით მკითხველებს მოეწოდებინათ ჩვენთვის შენიშვნები სუსტი ადგილების შესახებ, რადგად ვგრძნობდით, რომ, ვინაიდან ქართულ ენაზე ამ ყაიდაზე წიგნის შედგენის ცდა პირველი იყო, პირველ გამოცემას აუცილებლად დეფექტები ექნებოდა. პოპერეკის რედაქტორობით ცნობილი წიგნის «Рабочая книга по математике» ავტორები **მეოთხე** გამოცემის წინასიტყვაობაში ამბობენ. (»В настоящем (ლაპარაკია მეოთხე გამოცემაზე) изданий исправлены недочоты, погрешности и опечатки, замеченные в предыдущих изданиях".

ჩვენი წიგნის ბეჭდვა კი ისეთ პირობებში მოხდა, რომ შეცდომების თავიდან აშორება არ მოხერხდა, ამიტომ რამდენიმე სამწუხარო შეცდომა წიგნში არის.

მოქ. ფარცხალაძე ამბობს, რომ ზოგიერთი თეორემის დამტკიცების დროს წინასწარ საჭირო ცნებები მოწაფეებს არ აქვთო (ტრაპეციის შუა ხაზი, პარალელურ ხორდებს შორის მოთავსებული რკალების თანასწორობა). ალბად არ იცის მოქ. ფარცხალაძემ, რომ მეექვსე კლასში მთავრდება თვალსაჩინო გეომეტრიის კურსი და ამავე კლასში იწყება (პროგრამის მოთხოვნილებით) ლოგიური ელემენტების თანდათანობითი შეტანა. მაშასადამე ნახსენებ ცნებებს მოწაფენი გაცნობილი არიან.

შეფარდებითი ნული განმარტებული არ არისო. წაიკითხოს მე-81 და 82 გვერდი.

არ არის განმარტებული გეომეტრიული შეფარდებაო. წაიკითხოს §§ 9 და 26. მაგრამ ალბად მას არ დააკმაყოფილებს საკითხის პრაქტიკულად განხილვა, რადგან მომხრეა მშრალი განმარტების.

„ზოგი თეორემები" არ არის დამტკიცებულიო. აქ იმაზე გოდებს მოქ. ფარცხალაძე, რომ არ ვიძლევით გადაღეჭილ თეორემებს დასაზეპირებლად. არამედ ვაძლევთ კითხვებსა და დამტკიცების გზას. სამუშაო წიგნის დანიშნულება მას სხვაგვარად ესმის.

რეცენზენტი ბოროტად იყენებს მკითხველთა ყურადღებას და ამბობს, რომ „27 **გვერდი** უკავია ჯამის გადანაცვლების თვისების მტკიცებასო“. თუ წიგნში არ წაიკითხეთ, მართლა ოცდა შვიდ გვერდიანი დამტკიცება გეგონებათ! ნამდვილად ამ კანონის გრაფიკულად განხილვას უკავია 8 სტრიქონი და რამდენიმე მაგალითი (იხ. 27 გვ.).

შემდეგ იწყება შემთხვევითი შეცდომების ფრთების შესხმა. ციფრების კორექტორული შეცდომები და სხ. მასშტაბის $\frac{1}{10000}$-ის ნაცვლად $\frac{1}{1000}$ რის გამოც სოფლის მოედანი ერთი დღიური გამოვიდა. ეს არის ანეკდოტისებური ამოცანა! „ფუთი ვერსი“ ეს ხომ სატრანსპორტო ერთეულია და არა ფიზიკის თვალსაზრისით მუშაობის განმარტება.

პითაგორის თეორემაში, მართალია, სიტყვა „**მოედანი**“ გამორჩენილია, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ეს შემჩნეული არ იქნეს ყველას მიერ, რადგან დამტკიცების დროს მუდამ ამ მოედანზეა ლაპარაკი.

„პერპენდიკულიარული“ დიამეტრის ნაცვლად, „პარალელურია“ შეცდომით დაწერილი და მოქ. ფარცხალაძეს უნდა დაარწმუნოს მკითხველები, რომ თითქოს ავტორები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ წრეში ორი პარალელური დიამეტრის გაყვანა შეიძლებოდეს. განა, შეიძლება საკითხის ასე გართულება?...

„უცნაური“ სიტყვა, რამდენ „სწორკუთხედს“ დაბეჭდილია რამდენ სწორ კუთხეს“ მაგიერ. აი, ის საბედისწერო **დ***), რომელმაც ასეთი აღშფოთება გამოიწვია.

ამგვარად, თუ ამოვწერთ და გავასწორებთ ათეოდე შემცდარ სიტყვას ან ასოს, მოქ. ფარცხალაძის კრიტიკიდან მხილოდ ბაქა-ბუქი დარჩება.

რამდენიმე ადგილას შემთხვევით ნახმარ სიტყვას (ოდრიკალი, მონაკვეთი...) ის თერმინის აღრევად გვითვლის, თვითონ ფარცხალაძე კი „კომუნისტში“-ში თავის წერილში ერთსა და იმავე ცნების აღსანიშნავად **ფართობსაც** (მე-8 სტრიქონი) და **მოედანსაც** (მე-15 სტრ.) ხმარობს. მანვე ვერ გაარჩია ტევადობა (вместимость) და მოცულობა (об'ем) ერთმანეთისაგან და ესეც თერმინების აღრევად გაასაღა. „ტოლსწორფერდიანი“, რომელიც წიგნის ბოლოში გასწორებულია, თერმინად ჩაგვითვალა, რადგან წიგნი ალბად ბოლომდი არ წაუკითხავს. ეს იქიდანაც სჩანს, რომ „კომუნისტში“ სწერს: წიგნში 306 გვერდიაო, ხოლო აქ ამბობს 312-იო. როგორ ვენდოთ ასეთ შეფასებას?!.

რამდენიმე სიტყვა „კომუნისტის“ მე-262 ნომერში წამოყენებული ბრალდებათა შესახებ: „სრულიად უადგილოა ტრაპეციის ფართობის ფორმულის გა-

*) აქ დონიც რომ არ იყოს მაინც უაზრობა გამოდის: „რამდენ სწორ კუთხეს შეიცავს პარალელოგრამი!“. უნდა იყოს: რამდენ სწორ კუთხეს შეიცავს პარალელოგრამის შინაგანი კუთხეების ჯამი.

რედ.

მოანგარიშებაო". ასეთი შტკიცება მხოლოდ უვიცობას უნდა მივაწეროთ. „არ არის მცნება ნულოვან და უარყოფით ხარისხზე"-ო. „მათი საშუალებით მოწაფეები მიიღებენ ნათელ წარმოდგენას თვით ამ მოქმედებაზეო". ეს პირდაპირ დაუფასებელი მარგალიტებია ახალი სკოლისათვის: ისეთი მათემატიკური სიმბოლობის საშუალებით, როგორიც უარყოფითი მაჩვენებელია, რომელიმე მოქმედების ნათელყოფა მოქ. ფარცხალაძისათვის დაგვითმია! ჩვენ კი ამას ვერ მივმართავთ.

„მე-245 გვერდზე ამოცანა შეუძლებელიაო" უსაბუთო განცხადებაა.

კიდევ ბევრი მაგალითი შეიძლებოდა ამოგვეკრიფა მ. ფარცხალაძის დებულებიდან, რომელიც ნათლად ჰყოფენ მის შეხედულებას მათემატიკის სწავლებაზე. ამიტომ ჩვენ ასეთი დასკვნა გამოგვყავს: მას არ დააკმაყოფილებს, რომ გავასწოროთ წიგნში შემთხვევით გაპარული შეცდომები, რადგან ის მოითხოვს სქოლასტიურ მიდგომას მათემატიკის სწავლებაში.

წიგნში გაპარული შეცდომები ადვილად გასწორდება თვით დაკვირვებული მოწაფეების მიერ, მაგრამ მ. ფარცხალაძის მათემატიკური მიდგომით გაწვრთნილ მოწაფის ტვინს არაფერი ეშველება.

კ. ბერიძე და მ. კორძახია.

რედაქციისაგან. ეჭვს გარეშეა, რომ არ შეიძლება სარეცენზიო წიგნის სკოლაში შემოღება იმ სახით, როგორც ის დაბეჭდილია. წიგნის უვარგისობაში დამნაშავენია ავტორებიც, შემმოწმებელი ორგანოც (მეთოდ-ორგანო) და გამომცემელი. არც ერთი ამათთაგანი არ მოპყრობია წიგნს ჯეროვანი ყურადღებით.

თუ „პერპენდიკულიარულის" ნაცვლად „პარალელურის" ხმარება ისეთი ლაპსუსია, რომელსაც მოწაფეც კი გაასწორებს, რატომ ეს ვერ შენიშნეს მეთოდ ორგანოს რეცენზენტებმა? სრულიად გაუგებარია ავტორების თავის მართლება შემთხვევით ნახმარი სიტყვები. შემთხვევითი ხასიათის შეცდომები და თვით მოწაფეები გაასწორებენო. განა შეიძლება ასე ზერელე მოვეპყრათ მათემატიკურ სახელმძღვანელოს შედგენას?

ავტორებს შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ გამომცემელიც უყურადღებოდ ეკიდება სახელმძღვანელოს და ამ წიგნის კორექტურა მიუნდვია შეუფერებელ პირისათვის. ყოველი საშუალო კურს დამთავრებული კორექტორი შენიშნავდა რომ „პარალელური" დიამეტრის მაგიერ უნდა ყოფილიყო „პერპენდიკულიარული". მაგრამ ამ წიგნის კორექტორს არამც თუ დედნის შეცდომა ვერ შეუნიშნავს, თვითონ ისეთი შეცდომები გაუშვია, რომ თეორემის მაგიერ რაღაც აბდაუბდა არას დაბეჭდილი წიგნში.

ერთხელ და სამუდამოდ ასეთ მოვლენებს ბოლო უნდა მოეღოს.

ქრონიკა

შელავათი ლიტერატურულ დარგში მომუშავეთათვის. სახკომ-საბჭოს დადგენილების თანახმად, ვისთვისაც ლიტერატურული შრომა უმთავრესს საარსებო წყაროს შეადგენს (მხატვრებს, მოქანდაკეებს), მათ შვილებს და აგრეთვე სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილებს მიენიჭება სასწავლებელში შესვლისათვის ყველა ის უპირატესობა, რაც მუშების შვილებთ აქვს.

სამხედრო კაბინეტები. სახხედრო სასწავლებლების სანმართველომ გამოიმუშავა გეგმა უმაღლეს სასწავლებლებთან სამხედრო კაბინეტის მოსაწყობად. გეგმა უკვე დაეგზავნა საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლეს სასწავლებლებს.

მედიკური ტეხნიკუმი. მომავალ წლის 1 იანვრიდან ქუთაისში ჯანმრთელობის განყოფილება ხსნის მედიკურ ტეხნიკუმს სამი წლის კურსით. ტეხნიკუმში მიიღებიან 18—35 წ. ქალ-ვაჟნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სასწავლებელი, ცხრაწლედი. წლიური სწავლის ფული 75 მანეთია, რომლიდანაც 40 მანეთი წინდაწინ უნდა იქნეს შეტანილი.

სახელმწიფო უნივერსიტეტი. საზამთრო არდადეგები: უნივერსიტეტში მიმდინარე წლის არდადეგები გაგრძელდება 1929 წ. 10 იანვრიდან 20 იანვრამდე.

— **სიძველეთა დაცვა.** საქართველოს განათლების სახ. კომისარიატის დადგენილებით სამეცნიერო-სახელოვნო მთავარმმართველობასთან დაარსდა სიძველეთა ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილება, რომლის ინსტრუქტორად მოწვეულია სარგის კაკაბაძე, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება საქართველოს სხვადასხვა მაზრებში სიძველეთა ძეგლების დაცვის აპრატის მოსაწყობად.

— **დანიშვნა.** განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ დაინიშნა ამხ. კ. ბერიძე.

— განათლების განყოფილებას დაევალა— გაუწიოს შესაფერი დახმარება პროფესორ მოსე თოიძის სტუდიას.

— განათლების განყოფილების მიერ დამუშავდა შრომას სკოლების სახელოსნოების პროგრამები. ახლო მომავალში იგი დაეგზავნება სკოლებს.

— დამუშავებულია აგრეთვე განათლების განყოფილების მიერ, სპეც. სკოლების პროგრამები.

— განათ. განყოფილებამ გადასწყვიტა ყველა სკოლებს შეუქმნას ელემენტარული ცდების ჩასატარებლად ფიზიკური კაბინეტი, როგორც ქალაქებში ისე მაზრებში.

— წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად ახალციხის მაზრაში წელს გაიხსნა 26 სკოლა.

— შემუშავდა დაწვრილებითი ინსტრუქციები ანტი-რელიგიურ პროპაგანდის ჩასატარებლად. ინსტრუქციები დაეგზავნება სკოლებს.

— რევოლუციონურ მუზეუმთან არსთება პროფსაბჭოს დადგენილებით, პროფ-მოძრაობის განყოფილება.

— ა. წ. 23 დეკემბერს საქართველოს პროფ. საბჭოს კულტგანყოფილება ტფილისში იწვევს კავშირების ცენტრალურ გამგეობათა თავმჯდომარეებსა და კულტგანყოფილების გამგეთა თათბირს, ფიზკულტურის და გასამხედროების საკითხებზე.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ფიზკულტურის და გასამხედროების მუშაობის შედეგები და ამოცანები პროფკავშირებში. კონკრეტული გეგმა საფიზკულტურო მშენებლობისა 1928 წლისათვის და მიმდინარე საკითხები.

პასუხისმგებელი რედაქტორი: **ა. მიქაძე.**

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-სი, წულუკიძის ქუჩა, № 4.

შეკვ. № 416 მთავლ. № 2222 ტირაჟი 2500

„ზოგჯერ თემის აღმასკომის თავმჯდომარე შედის სასწავლებელში და კონტროლს უწევს მასწავლებელს“.

III პლენუმის ანგარიშიდან.



აღმ. თავმჯდომარე: აბა, თუ იცით, რაზე სდგას დედამიწა?

მოწაფეები: (სიჩუმე).

აღმ. თავმჯდომარე: მაშ არ იცით? როგორც ვხედავ მასწავლებელს არაფერი უსწავლებია თქვენთვის... დაიხსომეთ: დედამიწა სდგას ვეშაპზე.

„ჩვენ კავშირში არიან პროფ-კურდღლები, რომელნიც აღრიცხულნი არიან უმუშევრებად, მაგრამ აქვთ კერძო გაკვეთილები, ზოგს მეურნეობაც“.

III პლენუმის ანგარიშიდან.



პროფ-კურდღლებზე ნადირობა.

„განათლების მუშაკის“ გამოცემანი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად

1. თვიური კედლის კალენდარი ყველა უქმეებისა და დასასვენებელი დღეების აღნიშვნით. . ფასი 30 კ.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად

1. მასწავლებლის კალენდარი. უბის წიგნი და ცნობარი.

2. „ამხანაგი“, მოწაფის კალენდარი, უბის წიგნი და ცნობარი.

3. ტ. ბრიჯეს. კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა (ახალი ცნობებისა და გამოკვლევების მიხედვით).

მზადდება დასაბეჭდად

„ლენინი სახალხო განათლების შესახებ“.

უველა ამ წიგნების შეძენა და გამოწერა შეიძლება რედაქციისაგან.

ტფილისი, ფურცელაძის (ყოფ. კალოუბნის) ქ. № 3.

ფასი 40 კაპ.

8 20 ვყ
1927